საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№12
დეკემბერი
2008

ადვენტის დრო დადგა!

რედაქციის გვერდი

ფიქრები ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისში

ეკლესია ახალი ლიტურგიული წლის მეშვეობით გვიხმობს ახალ ქრისტიანულ გზაზე, რომელიც ადვენტის პირველ კვირას – 30 ნოემბერს დაიწყება.

ღმრთის პირველი სიტყვა, რომელიც ამ დღეს გახმიანდება მარკოზის სახარებიდან, ლაიტმოტივად გაჰყვება კათოლიკე ეკლესიის საკვირაო წირვებს ამ ახალ ლიტურგიულ წელს: „**გაფრთხილდით, იფხიზლეთ**!“.

მრავალი ადამიანის წარმოდგენაში რელიგიები, ზოგადად, და მათ შორის იესოს სახარებაც, კარგ ნარკოტიკს ჰგავს. მარქსიც რელიგიას ოპიუმს უწოდებდა. პოლიტიკა ხშირად ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა მიაძინოს რელიგია და ამას აღწევს უამრავი პრივილეგიებით, პირფერობით, ამას მოჰყვება მანქანები, ქონება, საპატიო წოდებების დარიგება თუ მინიჭება ამა თუ იმ მღვდელმთავრისათვის... ეკლესია ლამის პაუად აქციონ, რომელსაც მანამ იყენებენ, სანამ სჭირდებათ... მაგრამ ეს იესო ქრისტეს ეკლესიაა თუ....? ნუთუ ეს არის თავისუფალი ეკლესია, რომელსაც თამამად შეუძლია ამცნოს სახარება თუ ეს ის ეკლესიაა, რომელიც მატარებელია იდეალებისა, რასაც ხშირად თვით ეკლესიის ტრადიცია გმობს (როგორც, მაგალითად, ფილეტიზმს), – ცარიელი, უშედეგო, ისიც ფანატიზმით აღვსებული სიტყვებისა?

და მიუხედავად ამისა, დღეს ბევრი დადის ეკლესიაში (მავანი ამბობდა, რომ საქართველოში მოსახლეობის 91% მორწმუნეა, ანუ მართლმადიდებელი; ეს რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს როგორი იქნებოდა ეს ქვეყანა?! ნამდვილი სამოთხე, თუმცა ფაქტები კი სულ სხვას ღაღადებენ), ლოცულობენ მშვიდობისათვის...; მაგრამ არა იმ მიზნით, რომ უფრო იფხიზლონ, არამედ პრობლემები რომ დაივიწყონ; მავანთათვის ეკლესიური ცხოვრება თავისთავად მიდის, ინერციით; არ ითხოვს ყოველდღიურ არჩევანს, ახალი კავშირების გაბმას საკუთარ პიროვნებასთან და არა რამე საგნებთან; მავანთათვის, შეიძლება იყო ქრისტიანი და კვლავ იპარო, იმრუშო, იბილწისტყვაო, იეშმაკო, ბოროტად გამოიყენო... ასეც ფიქრობენ, რომ რელიგიები ღმრთისა და საზოგადოების წინაშე ჩადენილ დანაშაულებს გავიწყებს, ეს კი საკუთარ სინდისს დაგიწყნარებს, მშვიდი სიზმრებით დაგაძინებს, თუნდაც ჯოჯოხეთის უფსკრულის პირას... თითქოს საკმარისია მაგიურად ვაკეთოთ საქმე, გავიღოთ ფული, ავაგოთ ეკლესიები, მივიღოთ კურთხევა სულიერი მამისგან, ვიკვებოთ სამარხვო საჭმლით, დავანთონ სანთელი, თავზე წავიკრათ თავსაბურავი... მაგრამ ყოველივე ეს ვერ დაგეხმარება სიფხიზლეში, სიფრთხილეში, პირიქით, როგორც ნარკოტიკი ისე გაგაბრუებს...

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ფხიზლად არის, თუკი შეუძლია ხალისით ჩამოთვალოს (რატომაც არა?!) სხვების შეცდომები, მათი სექტებად, სქიზმატებად, სატანებად, ანტიმართლმადიდებლებად მოხსენიებით (იხ. გაზეთ

PS-ში ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს გურამ გაბუნიას სტატია, 2008 წ. 10-16 ნოემბერი), თითქოს თავად ცოდვებიდან და გაუგებრობებიდან თავისუფალნი არიან და თავად წარმოადგენენ სიმართლეს; ჰგონიათ ფხიზლად მაშინ არიან, როდესაც ეკლესიიდან აძევებენ განსხვავებული რწმენის ადამიანებს (რაც გაუკეთეს 2008 წლის 20 ოქტომბერს თბილისის სიონის ტაძარში სამ კათოლიკე მონაზონს); ასეთ ვითარებაში, ჩვენს ფიქრებში მაშინვე ის შეხვედრა გაიელვებს, რომელიც რომის პაპსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შორის უნდა შემდგარიყო; როგორ წარიმართებოდა? რას წააადგებოდა?

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ფხიზლად არის, რადგანაც იმ მოდუნებული მდგომარეობიდან გამოფხიზლდა, რამაც უარი ათქმევინა ეკლესიაზე და თავისი ოჯახის ტრადიციაზე, და ასე მაგალითად, კათოლიკე მართლმადიდებლად იქცა, ყველაფერი შეაჩვენა, რაც კი ამ ორ ქრისტიანულ ტრადიციას აკავშირებს, თითქოსდა მისი წინაპრები დასნებოვნებულნი და დაწყევლილნი იყვნენ, თითქოსდა ეს ეკლესიები ერთმანეთს შორის კონკურენციაში მყოფი სუპერმარკეტები იყვნენ; და ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ, ჭეშმარიტია ასეთი შემობრუნება სახარებისკენ, ეკლესიის ნამდვილი ტრადიციისკენ, ეს ნამდვილი გამოღვიძებაა? ან იქნებ ეს უფრო საცდურია, ვაჭრული დამოკიდებულება იმის მიმართ, რაზეც ვერ ივაჭრებ, ყველაზე იოლის, ყველაზე მოხერხებულის არჩევა, არჩევანი დიალოგის გარეშე?

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ფხიზლად არის და... „ჭკვიანია“, რადგანაც იცმევს მოდაზე, საუბრობს ისე, როგორც იმ ჯგუფშია მიღებული, სხვაგვარად ხომ ვერაფერს გახდებოდა, ვერც სარკეში ჩახედავდა თავის თავს და ვერც თავის პიროვნებას მიიღებდა; თუ საზოგადოებაში გინდა ადგილის დამკვიდრება, სხვის დაკრულზე უნდა იცეკვო, თორემ გაირიყები, ჩალის ფასადაც არ ეღირები... არცთუ იშვიათად, რელიგიაც ებმება ამ მუსიკალურ ფერხულში, როგორც რაღაც ეგზოთერმულში, სმოგში. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ქრისტიანობა ბრძოლაა, ბრძოლა სისხლის ბოლო წვეთამდე, ბრძოლა ბოროტების, უსამართლობის, კორუფციის წინააღმდეგ. ღმრთის სიტყვის შესმენა ის მახვილია, რომელიც ძვლის სიღრმეში აღწევს; ჩვენი ყოფნით ეკლესიაში ყოველდღიურ მოწმობას გავცემთ და ეს არ უნდა გვაწითლებდეს, ფანატიზმში არ გვაგდებდეს.

თუკი რომელიმე კატეგორიის ხელისუფლებას, რომელიც შეიძლება მართავდეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ სფეროს, ისევე როგორც ადამიანებს, აშინებთ ფხიზელი ქრისტიანი, ღმერთს არ ეშინია მისი. ღმერთს ფხიზელი ადამიანი მოსწონს; ცოცხალი სულის ადამიანი ღმრთის დიდებაა, ამბობს წმ. ირენეოსი, ხოლო მოციქული პავლე დღესაც გვიმეორებს: “გაიღვიძე, მძინარევ, და გაგანათებს შენ ქრისტე“; შენთვის იქცა ქრისტე კაცად, იშვა, მოკვდა და აღსდგა, ამას შეგვახსენებს პაპი ლეონ დიდი.

ახალ გზას ვერ შევუდგებით იმ მოხმობის გარეშე, რომელიც დღეს უწინდებურად ითხოვს სტიმულს; და მაშინ, სიფხიზლე ნიშნავს მიიღო იგი როგორც არჩევანი; გწამდეს, რომ მარადისობიდან აგირჩია ღმერთმა ქრისტეში, რათა მისი ეკლესიის წევრი ყოფილიყავი; მიიღო იგი, როგორც მოვალეობა უკეთესი მსოფლიოს ასაგებად, სადაც სამართალი, თავისუფლება, სიმართლე ყველას საარსებო პური იქნება, არა სამაგიეროს მიღების გამო, არამედ იმიტომ, რომ პირველად იესომ მოგვცა მტრების სიყვარულის მაგალითი.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

პავლე და მისი მეგობრები

1. მისიონერთა საკრებულოს დაბადება

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ პავლეს ოჯახი კომერციული საქმიანობით იყო დაკავებული. ოჯახური ტრადიციიდან გამომდინარე, პავლე კარგად ერკვევა კომერციაში და ამავდროულად ფლობს ქსოვილების წარმოების ხელობას. უნდა აღინიშნოს, რომ პავლე ადამიანებთან ურთიერთობების დამყარების საოცარი ნიჭითაა დაჯილდოებული. ეს მისი ძალზე მნიშვნელოვანი თვისებაა. მას შეიძლება ამ ურთიერთობების "მქსოველი" ვუწოდოთ. იგი ადამიანთა შორის მაკავშირებელ "ძაფებს რთავს" და ამ საქმის უბადლო ოსტატია. მას "ღმრთის ფეიქარიც" შეიძლება ვუწოდოთ. მოგზაურობების დროს პავლე უამრავ ერთგულ მეგობარს იძენს, რომლებიც მზად არიან ყველაფერი მიატოვონ და გაჰყვნენ მას... ამავდროულად მას არც სასტიკი მტერი აკლია... ჩვენ უკვე კარგად ვიცნობთ მის მეგობრებს: ლუკას - მკურნალს და შემდგომში ერთ-ერთი სახარების ავტორს; ბარნაბას, რომელიც პავლესთან ერთად მისიონერული საქმიანობის სათავესთან იდგა; პავლეს "შვილებად" წოდებულ თიმოტეს და ტიტეს; მარკოზსა და სილას - შემდგომში პეტრეს თანაშემწეებს; აკვილას და მის მეუღლეს პრისკილას, რომლებიც პავლესთან ერთად კორინთოდან ეფესოში მიემგზავრებიან და ამ ქალაქში ქრისტიანობის გავრცელებისთვის იღწვიან; სოსთენოსა და კრისპოსს - კორინთოს სინაგოგის მთავრებს; ეპაფროდიტოსს - ფილიპეს ეკლესიის წინამძღოლს. სულ მალე ამ ჯგუფს უერთდებიან ეპაფრა და ტვიქიკოსი, შემდგომში კი აპოლოსი - "კაცი განსწავლული," მეგობრები რომიდან და მრავალი სხვა. მათ ყველას თბილად იხსენებს პავლე თავის წერილებში.

ერთგულთა შორის, რა თქმა უნდა, ქალებიც არიან: ლიდია ფილიპედან, დამარისი ათენიდან, დიაკვანი ქალი ფებე ქენკრეს ეკლესიიდან, პერსისი და მარიამი - რომის ეკლესიის დაუღალავი მსახურნი, ევოდია და სვინტიქე... ყველა ამ ადამიანს რწმენა და სიყვარული აერთიანებს. მათ სახელებს ჩვენ "მოციქულთა საქმეებისა" და პავლეს წერილების ფურცლებზე ვხდებით.

დიდია რიცხვი იმ ადამიანებისა, ვინც ჩართულია ეკლესიათა შორის კავშირის უზრუნველყოფის უაღრესად რთულ საქმეში. ხშირად მათი გზები ერთმანეთს ეკვეთება - ხმელეთზეც და ზღვაშიც. ეს გამორჩეული ადამიანები სულითა და გულით მისიონერები არიან და საკუთარ ცხოვრებას ჭეშმარიტების მსახურებას უძღვნიან. ყოველ მათგანს თავისი გზა აქვს გასავლელი. პავლეს მსახურება კი ყველა ამ გზას აერთიანებს. ქრისტიანთა გულებს შორის უხილავი მაკავშირებელი ძაფებია გაბმული, ეს უხილავი "ქსელი" სულ უფრო და უფრო ფართოვდება და მთელ ოიკუმენას მოიცავს. ასე იბადება ეკლესია - ქრისტეს სასძლო:

"ვინაიდან თავგამოდებული ვარ თქვენს მიმართ ღვთიური თავგამოდებით, რადგან დაგწინდეთ თქვენ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე" (2 კორ. 11, 2).

2. ერთგული მოწმე

”...ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ. ამიტომ ხელი მოჰკიდეთ ღვთის სრულ საჭურველს, რათა შეძლოთ წიაღდგომა ბოროტ დღეს და ყოვლის მძლევლებმა გასძლოთ. მაშ, იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები, და ფეხშემოსილნი მზადყოფნაში მშვიდობის სახარებლად. და ყოველივე ამასთან ერთად აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ ბოროტის გავარვარებული ისრების ჩაქრობას. აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა. ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით, და მუდამ იფხიზლეთ ამაზე ყოველგვარი სიმედგრით და ლოცვით ყველა წმიდისათვის, ჩემთვისაც, რათა მომეცეს სიტყვა და ჩემი პირით გაცხადებით ვაუწყო, რომლის ელჩიცა ვარ, სახარების საიდუმლო, ბორკილდადებულმა, რათა გაცხადებით ვილაპარაკო, რისი თქმაც მმართებს” (ეფეს. 6, 12-20).

- მესამე მისიონერული მოგზაურობა.

პავლეს მესამე მოგზაურობა მცირე აზიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს, ეფესოს, უკავშირდება. აკვილა და პრისკილა პავლეს ჩამოსვლას მოუთმენლად ელიან. სწორედ ეფესო ხდება პავლეს მოღვაწეობის მთავარი ასპარეზი. ეფესოსკენ მგზავრობისას მოციქული ფრიგიის საკრებულოებს მოინახულებს და კვლავ შეხვდება თავის გალატელ მოწაფეებს.

პავლე ეფესოს უახლოვდება. ამ დროს მისი მეგობრები, აკვილა და პრისკილა უსაქმოდ როდი სხედან - ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ და დაწყებულ საქმეს განაგრძობენ: მათ შემოუერთდა აპოლოსი - მეგობარი და თანამოაზრე. ეს ადამიანი ”წარმოშობით ალექსანდრიელი, ენამჭევრი კაცი და ძლიერი წერილებში... განსწავლული იყო უფლის გზებში, მხურვალე სულით ლაპარაკობდა და ზუსტად ასწავლიდა იესოს შესახებ, ოღონდ მარტო იოანეს ნათლისცემა იცოდა” (საქმე. 18, 24-25). როდესაც აკვილამ და პრისკილამ სინაგოგაში აპოლოსის ქადაგება მოისმინეს, ”...თან წაიყვანეს და უფრო ზუსტად აუხსნეს უფლის გზა” (საქმე. 18, 26). ეფესოში პავლეს ჩამოსვლამდე აპოლოსი კორინთოს გაემგზავრა, რათა ადგილობრივ საკრებულოს დახმარებოდა. სწავლების გადმოცემის ნიჭით დაჯილდოებული, უაღრესად განათლებული ადამიანის ჩამოსვლამ მოულოდნელი პრობლემები წამოჭრა: ზოგი პავლეს ემხრობა, ზოგი - აპოლოსს, ზოგი კი ქრისტეს მოწაფედ აღიარებს თავს. აპოლოსის მიმართ პავლე დიდი პატივისცემითაა განწყობილი, მაგრამ ამავდროულად შეუპოვრად იბრძვის ეკლესიაში წარმოქმნილი განხეთქილების წინააღმდეგ (იხ. 1 კორ. 1, 10 – 4, 21).ტიტეს მიმართ ეპისტოლეს ბოლო სტრიქონებში ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდებით აპოლოსის სახელს. უნდა აღინიშნოს, რომ, გადმოცემის მიხედვით, იგი ებრაელთა მიმართ წერილის ავტორია. იმ დროს, როცა აპოლოსი კორინთოში მოღვაწეობს, პავლეს ძალისხმევით საფუძველი ეყრება ეფესოს საკრებულოს. სამ წელიწადს დაჰყოფს პავლე ამ ქალაქში. იგი სათავეში ჩაუდგება მისიონერთა დიდ ჯგუფს, რომელიც ქალაქის მთელ მიდამოებს შემოუვლის: ეპაფრა კოლოსეს, ლაოდიკიასა და ჰიერაპოლისის ეკლესიებს აფუძნებს; ტიმოთე და ერასტოსი - პავლეს ”ელჩები” არიან მაკედონიაში, სადაც მათ გაიოს და არისტარქოს მაკედონელნი ეხმარებიან; ტიტე მრავალრიცხოვან მეგობრებთან ერთად მცირე აზიაში არსებული ეკლესიების მოსანახულებლად გაემგზავრებიან და იქ ახალ ქრისტიანულ საკრებულოებს აყალიბებენ.

”იმ ხანებში დიდი არეულობა მოხდა უფლის გზის გამო” (საქმე. 19, 23). ვერცხლის მჭედელთა მიერ გაჩაღებულ ამბოხთან დაკავშირებით პავლე იძულებული ხდება აზია დატოვოს. ეფესოს არტემისის ტაძარი ცნობილი იყო მთელ ანტიკურ სამყაროში, ხოლო ქალღმერთის სათაყვანო ვერცხლის ქანდაკებების დამზადება იუველირთა კორპორაციას მცირე შემოსავალს როდი აძლევდა. პავლეს ქადაგება აშკარა საფრთხეს უქმნის ამ კორპორაციას. ვერცხლის მჭედლები მოსახლეობაში მღელვარებასა და შფოთს თესავენ. ხალხი პავლეს თანამგზავრებს აკავებს და ”სანახაობაზე” თეატრონისკენ მიათრევს. პავლეს სურს გაჰყვეს თავის მეგობრებს და ხალხში გავიდეს, მოწაფეები კი არ უშვებენ მას - თეატრონში მისვლა ხომ, შესაძლებელია, სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. თეატრონში ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ყვირილი და შეძახილები ისმის: ”დიდია ეფესელთა არტემისი!” სიტყვას არავის აძლევენ, სანამ წესრიგის დამცველი, ”ქალაქის მწერალი,” ხალხის დაწყნარებას მოახერხებს. მომხდარის შემდეგ პავლე აცნობიერებს: დადგა დრო - ქადაგება უნდა შეწყვიტოს. იგი მაკედონიაში მიემგზავრება და საკრებულოებს მოინახულებს. დაბოლოს, კორინთოში ჩადის, სადაც სამ თვეს რჩება, შემდგომ კი აღდგომის დღესასწაულს თესალონიკეში ხვდება და იერუსალიმში ბრუნდება. პავლეს რვა მეგობარი ახლავს, მათ შორის ლუკა მახარებელია.

იერუსალიმის გზაზე დამდგარი პავლე ერთი კვირით ტროადაში ჩერდება. გამგზავრების წინ, შვიდეულის პირველ დღეს საკრებულოს წევრები შეიკრიბნენ და პავლემ ევქარისტია აღასრულა. მეგობრები ერთმანეთს ვერ ელევიან - საუბარი შუაღამემდე გრძელდება. ღრმა სულიერი შინაარსითაა გამსჭვალული პავლეს სიტყვა. ერთი ახალგაზრდა სარკმლის რაფაზე ჩამომჯდარიყო, ჩაეძინა, ”მძინარე მესამე სართულიდან გადავარდა და მკვდარი აიყვანეს” (საქმე. 20, 9). მოეხვია მას პავლე და სიცოცხლე დაუბრუნა. ლუკა ამის შესახებ მოგვითხრობს: ”... კარგა ხანს საუბრობდა, განთიადამდე, და წავიდა. ის ყრმა კი ცოცხალი მოიყვანეს და არამცირედი ნუგეში ეცათ” (საქმე. 20, 11-12).

- ნაბიჯი მარადისობისკენ... იერუსალიმში დაბრუნება.

პავლე ჩქარობს. მას მთელი გულით სწადია ორმოცდაათობის დღე იერუსალიმში გაატაროს. იგი ეფესოს გვერდს უქცევს, ხოლო ეკლესიის უხუცესებს მილეტის სანაპიროზე იბარებს. სწორედ ამ შეხვედრის დროს წარმოთქვამს პავლე თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვას, რომელიც ჩვენ წიგნის დასაწყისში მოვიყვანეთ. ”ველარ იხილავს ჩემს სახეს ვერცერთი თქვენგანი,” - ეუბნება მათ პავლე(საქმე. 20, 25).გულისტყივილით უსმენენ უხუცესები მოციქულს და ცრემლებს ველარ იკავებენ.

პავლემ კარგად იცის თუ რა ბედი ელის მას:

”და აჰა, ახლა სულის მიერ შეკრული მივდივარ იერუსალიმში და რა შემემთხვევა არ ვიცი. მხოლოდ სულიწმიდა მიმოწმებს ქალაქიდან ქალაქში და მეუბნება, რომ ბორკილები და გასაჭირი მელის. მაგრამ სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი იმ ჩემს სარბიელსა და მსახურებას დავასრულებდე, რომელიც უფალ იესოსგან მივიღე, რათა დავამოწმო ღვთის მადლის სახარება. აჰა, ახლა ვიცი, რომ ველარ იხილავს ჩემს სახეს ვერცერთი თქვენგანი...” (საქმე. 20, 22-25).

ტვიროსში ყოფნისას ადგილობრივი საკრებულოს წინასაწარმეტყველები პავლეს წინათგრძნობას ადასტურებენ. რვა დღის შემდეგ კესარიაში ჩასული მისიონერთა ჯგუფი ”ერთ-ერთი შვიდთაგანის” (საქმე. 21, 8), ფილიპეს, სახლს ეწვევა. წინასწარმეტყველებათა რიცხვს კიდევ ერთი ემატება. ლუკა მოგვითხრობს:

”...იუდეიდან ჩამოვიდა წინასწარმეტყველი, სახელად აგაბოსი. მოვიდა ჩვენთან, აიღო პავლეს სარტყელი, ხელ-ფეხი შეიკრა და თქვა: ”ასე ამბობს სულიწმიდა: კაცს,

ვისაც ეს სარტყელი ეკუთვნის, ასე შეკრავენ იერუსალიმში იუდეველები და წარმართებს მისცემენ ხელში.” ეს რომ მოვისმინეთ, ჩვენც და იქაურებიც ვევედრებოდით, არ ასულიყო იერუსალიმში. მაშინ მოგვიგო პავლემ და გვითხრა: ”რას სჩადით, ტირით და გულს მიტეხთ? მე არა თუ შესაკვრელად, არამედ იერუსალიმში სასიკვდილოდაც მზადა ვარ უფალ იესოს სახელისათვის.” რაკი ვერ შევძელით მისი დაყოლიება, დავწყნარდით და ვუთხარით: ”უფლის ნება იყოს!” (საქმე. 21, 10-14).

წმინდა ქალაქში ჩასვლისთანავე პავლე იაკობისა და პრესბიტერების წინაშე წარსდგა და უამბო იმ სასწაულების შესახებ, რაც ღმერთმა მის მოგზაურობის დროს მოახდინა. გამალებით უსმენენ ძმები, თან აფრთხილებენ: ქალაქში მომრავლდა ავის მომასწავებელი მითქმა-მოთქმა, პავლეს ბრალს სდებენ იუდეველთა რჯულის ღალატსა და მოსესგან განდგომის მოთხოვნაში. მოწაფეებმა ”თავის დასაძვრენიც” მოიფიქრეს პავლესთვის, რათა ხალხის თვალში გამართლებულიყო: პავლემ საჯაროდ ოთხი აღთქმა დადებული კაცის ხარჯები უნდა გაიღოს და მათთან ერთად ტაძარში განიწმიდოს. ამ ”ხრიკით” თითქოს და მიზანს მიაღწიეს. მაგრამ რამდენიმე დღეში იერუსალიმში აზიელი იუდეველები ჩამოდიან და ხალხში შფოთს თესავენ. პავლეს ადანაშაულებენ აზიაში მცხოვრები რჯულის მიმდევართა შეცდენასა და წმიდა ადგილის შებღალვაში: საქმე ეხება ეფესელ ტროფიმეს - ”ახლა ბერძენიც კი შეიყვანა ტაძარში...” (საქმე. 21, 28).

ამბოხის ალმა მთელი ქალაქი მოიცვა. ამ სადღესასწაულო დღეებში აქ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. შეიტყო რა რაზმის ათასისთავმა ამბავი ამბოხის შესახებ, ”მყისვე წაიყვანა ჯარისკაცები და ასისთავები და გაეშურა მათკენ” (საქმე. 21, 32). ამ დროს გააფთრებულმა ბრბომ პავლეს ჩაქოლვა განიზრახა, მაგრამ ”...ჯარისკაცები რომ დაინახეს, თავი ანებეს პავლეს ცემას” (საქმე. 21, 32). პავლეს იპყრობენ და ბანაკისკენ მიჰყავთ. ანტონიუსის ციხე-სიმაგრის კიბეებს რომ მიუახლოვდნენ, პავლე ათასისთავს მიუბრუნდა და ბერძნულ ენაზე მიმართა. ჯარისკაცის გაოცებას საზღვარი არა აქვს. მას ესმის: ეს კაცი ჩვეულებრივი მეამბოხე როდია. პავლე ხალხთან შეხვედრას ითხოვს. ნება რომ მისცეს, დადგა კიბეზე და არამეულ ენაზე მიმართა შეკრებილთ. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, ერთხანს უსმენდნენ, მაგრამ პავლეს ბოლო სიტყვებმა - ”და მითხრა: ”წადი, შორს მიგავლენ წარმართებთან”(საქმე. 22, 21) - აღაშფოთა და გააღიზიანა ხალხი. იუდეველები ყვირიან, ტანისამოსს იგლეჯენ და ჰაერში მტვრის კორიანტელს აყენებენ (შდრ. საქმე. 22, 23). ისინი პავლეს სიკვდილს ლამობენ.

პავლე დაკითხვაზე ციხეში მოჰყავთ და გაშოლტვას უპირებენ. პავლე ისევ თავის ”საიდუმლო იარაღს” იყენებს: ”რა უფლება გაქვთ, რომ გაუსამართლებლად გაშოლტოთ რომაელი კაცი?” ეს რომ ასისთავმა გაიგო, მივიდა ათასისთავთან და მოახსენა და უთხრა მას: ”რას აპირებ, რომაელი ყოფილა ეს კაცი!” მივიდა ათასისთავი და უთხრა მას: ”რომაელი ხარ?” მიუგო: ”ჰო.” მიუგო ათასისთავმა: ”მე დიდი თანხით მოვიპოვე ეს მოქალაქეობა.” ხოლო პავლემ თქვა: ”მე კი - დაბადებით” (საქმე. 22, 25-28). ყველა უკან იხევს, ხოლო შეშინებული ათასისთავი სინედრიონს იწვევს.

მეორე დღეს სინედრიონი შეიკრიბა. პავლემ უხუცესთა წინაშე თავი უნდა იმართლოს. მისთვის კარგადაა ცნობილი, რომ შეკრებილთა შორის დაპირისპირებას აქვს ადგილი. კრებული ორ ბანაკადაა დაყოფილი: ფარისევლებსა და სადუკეველებს განსხვავებული მოძღვრება აქვთ. კერძოდ, სადუკეველნი ამბობენ, რომ ”არ არის არც აღდგომა, არც ანგელოზი, არც სულიო, ფარისევლები კი ერთსაც აღიარებენ და

მეორესაც” (საქმე. 23, 8). პავლე ამ სიტუაციით სარგებლობს და ამბობს: ”კაცნო ძმანო, მე ფარისეველი ვარ, ფარისევლის ძე, და მკვდრეთით აღდგომის იმედისთვის განვიკითხები” (საქმე. 23, 6). პავლეს სიტყვებმა ისეთი აურზაური გამოიწვია, რომ ათასისთავმა გადაწყვიტა პავლე გამოერიდებინა და მანაკში წაეყვანა.

”მეორე დღეს უფალი გამოეცხადა მას და უთხრა: ”გამხნევდი, ვინაიდან, როგორც იერუსალიმში მოწმობდი ჩემზე, ასევე რომშიც გმართებს დამოწმება” (საქმე. 23, 11).

ფრანგულიდან თარგმნეს
ალექსანდრა მარგველაშვილმა,
მანანა სულაძემ

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

პაპი და პატრიარქი: ახალი ნაბიჯი ერთობისკენ

18 ოქტომბერს რომში, ვატიკანში, სიქსტეს კაპელაში კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა სიტყვით მიმართა რომის კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსთა სინოდს. ამ უპრეცედენტო მოვლენის მნიშვნელობას თავად ბართლომე I-მა გაუსვა ხაზი:

“ჩვენ მივიჩნევთ ამას მოქმედებად სული წმიდისა, რომელიც მიუძღვის ჩვენს ეკლესიებს სულ უფრო მჭიდრო და ღრმა ურთიერთობებისკენ. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი სრული ერთობის აღდგენისკენ. (...) იზრდება ჩვენი იმედი, რომ მოვა დღე, როდესაც ჩვენი ეკლესიები სრულ თანხმობას მიაღწევენ პირველობისა და ეკლესიის სინოდალური ცხოვრების საკითხებში. ამჟამად ამ საკითხებს ჩვენი ერთობლივი საღმრთისმეტყველო კომისია განიხილავს”.

მსოფლიო პატრიარქმა ისაუბრა ღმრთის სიტყვაზე, რომელსაც ადამიანი თავისი გრძნობების მეშვეობით აღიქვამს. ქრისტიანობაში წმიდა წერილი ყოველთვის აღიქმებოდა როგორც ცოცხალი სინამდვილე. ამიტომ იგი უნდა ვისმინოთ, ვიხილოთ, განვახორციელოთ და მივიღოთ. ღმრთის სიტყვის ხილვა ხატებზე შეგვიძლია – აღნიშნა პატრიარქმა. მაგრამ თავის სრულ განხორციელებას ღმრთის სიტყვა წმიდა ევქარისტიის საიდუმლოებაში აღწევს, სადაც სიტყვა ხორცი ხდება და “შესაძლებლობას გვაძლევს, არა მხოლოდ ვიხილოთ იგი, არამედ ხელითაც შევეხოთ, ვიგემოთ და გავხადოთ იგი ჩვენი ხორცისა და სისხლის ნაწილად”.

ღმრთის სიტყვა წმიდათა სიყვარულში აირეკლება, მაგრამ მოწოდება “შევეხოთ სამყაროს ღმრთის სიტყვის მისტიური ძალით” ყველასკენაა მიმართული. ამიტომ პატრიარქმა ხაზი გაუსვა ევანგელიზაციის მნიშვნელობას: “ეკლესიამ უნდა განუცხადოს ღმრთის სიტყვა ყოველ თაობას, რათა იგი განახლებული ძალითა და დამაჯერებლობით გამოვლინდეს თანამედროვე სამყაროშიც, რომელსაც სწყურია მშვიდობის, სასოებისა და სიყვარულის ღმრთის ეპისტოლე”.

პაპმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს მისი მიმართვის სიმდიდრისა და სიღრმისთვის, ასევე იმ რეალიზმისთვის, რომელშიც ჩვენი დროის გამოწვევები გამოვლინდა. “ამ მომენტში ჩვენ მართლაც განვიცადეთ სინოდი. – აღნიშნა პონტიფექსმა – ეს იყო სასიხარულო გამოცდილება ერთობისა, რომელიც შეიძლება არასრული იყო, მაგრამ ჭეშმარიტი და ღრმა. მე ვიფიქრე: თქვენი წმიდა მამები, რომელთა გამონათქვამებიც მოგყავდათ, ჩვენი მამებიც არიან, ჩვენი მამები კი – თქვენი. თუკი საერთო მამები გვყავს, რატომ არ შეიძლება ძმები ვიყოთ?”.

კათოლიკეთა და მუსლიმთა ფორუმის პირველი სემინარი

4-6 ნოემბერს რომში გაიმართა კათილიკურ-ისლამური ფორუმის პირველი სემინარი სახელწოდებით "სიყვარული ღმრთისა, სიყვარული მოყვასისა". ფორუმის მიზანია ურთიერთობების გაუმჯობესება მსოფლიოს ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი რელიგიის წარმომადგენელთა შორის. როგორც აღნიშნა ფორუმის ერთ-ერთმა მონაწილემ, შვეიცარიელმა ფილოსოფოსმა ტარიკ რამადანმა ბრიტანული გაზეთისთვის "The Guardian" მიცემულ ინტერვიუში, "დიალოგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი შეჯიბრი მორწმუნეთა რაოდენობის გაზრდაში, წინააღმდეგობრივი გამონათქვამები პროზელიტიზმის შესახებ და უნაყოფო მეტოქეობა ჭეშმარიტების ფლობის განსაკუთრებული უფლების მოპოვებაში".

მონაწილეთა ერთობლივ მანიფესტში აღნიშნულია, რომ ორივე რელიგია იზიარებს ღმრთისა და მოყვასის სიყვარულის ერთსა და იმავე პრინციპებს.

სამდღიანი შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ამ პრინციპების მნიშვნელობა ორი რელიგიის დაახლოებისა და ურთიერთობათა ჰარმონიზაციისთვის. თითოეული მხარე წარმოდგენილი იყო 24 მონაწილისა და 5 ექსპერტის მიერ.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ დელეგაციათა ლიდერებმა, კარდინალმა ჟან-ლუი ტორანმა და ბოსნიის მთავარმა მუფტიმ მუსტაფა სერიკმა წაიკითხეს ლექციები, რომელთა თემა იყო ღმრთის სიყვარულის კონცეფცია ქრისტიანობასა და ისლამში. შემდგომი განხილვის საგანი ორი უმნიშვნელოვანესი თემა იყო: "საღმრთისმეტყველო და სულიერი საფუძვლები" და "ადამიანის ღირსება და ურთიერთპატივისცემა".

შეხვედრის მონაწილეებმა შეიმუშავეს 15-პუნქტიანი ერთობლივი დასკვნითი დეკლარაცია.

"ქრისტიანთათვის ღმრთისა და მოყვასის სიყვარულის წყარო და მაგალითი არის ქრისტეს სიყვარული მამის, კაცობრიობისა და ყოველი ადამიანის მიმართ. მოყვასის სიყვარული განუყოფელია ღმრთის სიყვარულისგან, რადგან ეს არის გამოხატულება ჩვენი სიყვარულისა ღმრთის მიმართ... ქრისტეს სამსხვერპლო სიყვარულზე დაფუძნებული, ქრისტიანული სიყვარული მიმტევებელია და არავის გამორიცხავს; იგი მტრებსაც მოიცავს.

მუსლიმთათვის... სიყვარული უსასრულო უზენაესი ძალაა, რომელიც მართავს და გარდაქმნის ადამიანურ ურთიერთობებს. ეს სიყვარული, როგორც მიუთითებს წმიდა და საყვარელი წინასწარმეტყველი მუჰამედი, არის წინამორბედი ადამიანის სიყვარულისა ერთი ჭეშმარიტი ღმრთის მიმართ" – ნათქვამია დეკლარაციაში (პუნქტი 1).

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული გულისხმობს პიროვნებისა და მისი არჩევანის პატივისცემას, პიროვნების ან თემის მიერ თავისი რწმენის კერძო და საჯარო გამოხატვის უფლებას (პუნქტი 5); რელიგიური უმცირესობები, მათი რიტუალები და სიმბოლოები არ უნდა იყოს ქილიკის საგანი (პუნქტი 6); არცერთი რელიგიის მიმდევრები არ უნდა გაირიყონ საზოგადოებიდან, ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს საზოგადოების კეთიდღეობისთვის მსახურების შესაძლებლობა (პუნქტი 8); კათოლიკეებმა და მუსლიმებმა მხოლოდ მართებული ინფორმაცია უნდა გაავრცელონ ერთმანეთის რელიგიათა შესახებ, იყონ სიყვარულისა და ჰარმონიის მოწმენი, უარი თქვან აგრესიასა და ძალადობაზე (პუნქტი 10-11); კეთილი ნების ადამიანები მოწოდებულნი არიან, იზრუნონ ღატკთათვის (პუნქტი 12); ახალგაზრდობა, რომელიც მულტიკულტურულ და მულტიეთნიკურ სამყაროში ცხოვრობს, რელიგიურ თემთა მომავალია. ამიტომ იგი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ და სხვა რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებს (პუნქტი 13).

შეხვედრის შედეგად გადაწყდა კათოლიკურ-ისლამური საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა (პუნქრი 14).

მორიგი სემინარი გაიმართება ორი წლის შემდეგ რომელიმე ისლამურ ქვეყანაში (პუნქტი 15).

პაკისტანის რელიგიურ უმცირესობათა ინტერესებს კათოლიკე მინისტრი დაიცავს

2 ნოემბერს პაკისტანის რელიგიურ უმცირესობათა დაცვის მინისტრად დაინიშნა პარლამენტის დეპუტატი შაჰაზ ბჰატი, აღმსარებლობით კათოლიკე.

მინისტრმა განაცხადა, რომ იკავებს ამ თანამდებობას მათ დასაცავად, ვინც პაკისტანში დისკრიმინაციასა და დევნას განიცდის და სურს, მთელი ცხოვრება მიუძღვნას "ბრძოლას თანაბარი უფლებებისთვის, სოციალური სამართლიანობისა და რელიგიური თავისუფლებისთვის".

"იესო ჩემი ცხოვრების ცენტრია და მე მსურს ვიყო მისი ჭეშმარიტი მიმდევარი, გავიზიარო ღმრთის სიყვარული პაკისტანის ღატაკ, ჩაგრულ, დევნილ და ტანჯულ ადამიანებთან ერთად.

შაჰაზ ბჰატიმ ქრისტიანობა სიყმაწვილეში მიიღო. ახლაგაზრდობაში იგი ხელმძღვანელობდა შეკრებებს, სადაც ღმრთის სიტყვა შეისწავლებოდა. 1985 წელ მან დააარსა სრულიად პაკისტანის უმცირესობათა ალიანსი, რომელიც იბრძვის რელიგიათშორის დიალოგისთვის, ქვეყნის ყველა რელიგიის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის.

"მართლმადიდებლებმა ინტერესი უნდა გამოიჩინონ სხვა ქრისტიანულ ეკლესიათა გამოცდილების მიმართ და საუკეთესო აიღონ მათგან"

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში მიიჩნევენ, რომ მიზანშეწონილია კათოლიკურ და პროტესტანტულ ორგანიზაციათა მიერ ახალგაზრდობასთან მუშაობის გამოცდილების შესწავლა და გადმოღება.

"მაგალითად, პროტესტანტებს ნაცნობობის ძალიან კარგი საიტები აქვთ: სუფთა, ქრისტიანული, პორნოგრაფიისა და მომაბეზრებელი რეკლამის გარეშე. სამწუხაროდ, ახლა ამ საიტების საშუალებით ჩვენი ქალიშვილები ეცნობიან უცხოელებს და დასავლეთში მიდიან. პირიქით უნდა იყოს: მსგავსი საიტების მეშვეობით უცხოელებმა უნდა შეიტყონ მართლმადიდებლობის შესახებ და ჩამოვიდნენ ჩვენთან", – აღნიშნა მოსკოვის საპატრიარქოს ახალგაზრდობის საქმეთა სინოდალური განყოფილების საინფორმაციო-საგამომცელო სამსახურის ხელმძღვანელმა დეკანოზმა დიმიტრიმ (პერშინი) გამოფენა-ფორუმის "მართლმადიდებელი რუსეთი" მრგვალ მაგიდაზე. მან ასევე განაცხადა, რომ ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მიერ შეისწავლება პროტესტანტული ახალგაზრდული კლუბებისა და სადისკუსიო შეკრებებისა დადებითი გამოცდილება.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირთა ქრისტიანთაშორის ურთიერთობების განყოფილების ხელძღვანელმა მამა იგორ ვიჟანოვმა განუცხადა "ინტერფაქს-რელიგიის" კორესპოდენტს, რომ "კათოლიკეთა და პროტესტანტთა გამოცდილება, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლური აღქმის პრიზმით უნდა განიხილებოდეს: რაღაც უდა უგულებელვყოთ, რაღაცის გამოყენება კი ჩვენთანაც კარგი იქნებოდა. მართლმადიდებლებმა ინტერესი უნდა გამოიჩინონ სხვა ქრისტიანულ ეკლესიათა გამოცდილების მიმართ და საუკეთესო აიღონ მათგან".

მოამზადა **რუსუდან ავალიშვილმა**

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ახალშენის კათოლიკური ეკლესიის ზეიმი 100 წელი სოფლის დაარსებიდან

ახალშენის "ქრისტე – სამყაროს მეფის" სახელზე ნაკურთხი ეკლესია 10 წლისაა, თვითონ სოფელი კი უკვე საუკუნისაა. ერთი საუკუნე – 100 წელი, მით უმეტეს, 10 წელი ისტორიისათვის წამის ერთი გაელვებაა, მაგრამ ახალშენელთათვის დიდი მოვლენა და მნიშვნელოვანი დღესასწაულია. ამ ასი წლის მანძილზე ახალშენელთა რამდენიმე თაობა გაიზარდა და მრავალმაც საუკუნო განსასვენებელი ჰპოვა, ისტორია კი თავისი გზით მიდის და აღნუსხავს ყველა იმ დადებითსა და უარყოფით მოვლენებს, რაც სოფელს და მის მცხოვრებლებს ამ დროის განმავლობაში გადაჰხდენია თავს: ჯერ იყო და მესხეთის კათოლიკური სოფლებიდან იმერეთში პირველჩამოსახლებული რამდენიმე ოჯახი გაჭირვებასა და სიღატაკეში ცხოვრობდა; თავის სარჩენად ტყეების გაჩეხვა და მიწის დამუშავება უხდებოდათ, არ გააჩნდათ სათანადო ტექნიკა და მიწის დასამუშავებელი იარაღები, არ ჰყავდათ მუშახელი, დღე და ღამეს ათენებდნენ, რომ ცოლ-შვილისათვის სარჩო არ მოეკლოთ. მიუხედავად სიდუხჭირისა ახალშენელებმა, პირველ რიგში, იზრუნეს იმისათვის, რომ სულიერი საზრდო არ მოჰკლებოდათ და საკუთარი სახსრებით პატარა ფიცრული შენობა ჩადგეს სოფლის ცენტრში და სამლოცველო სახლი დააარსეს, აქვე გახსნეს ოთხწლიანი სკოლაც, სადაც ძირითადად, განსაკუთრებით პირველ წლებში, ჩამოსული კათოლიკე მღვდლები ასწავლიდნენ წერა-კითხვას.

როდესაც კომუნისტებმა კოლექტივიზაციის პირველივე წლებში ახალშენის ეკლესია კოლმეურნეობის საწყობად გადააკეთეს, ახალშენელები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში ერთადერთი მოქმედი ქუთაისის კათოლიკური ეკლესიით სარგებლობდნენ და ხშირად ესწრებოდნენ წირვა-ლოცვებს, ვიდრე მასაც არ დახურავდნენ. უხუცეს ახალშენელთა გადმოცემით, სოფელში მოღვაწეობდნენ მღვდლები გოზალიშვილი და გიგოლაშვილი, ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისიდან მამა დონ დამიანე სააკაშვილიც.

ის იყო ცოტა ამოისუნთქეს, რომ ავადმოსაგონარი მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ამ პატარა სოფლიდან, სადაც 45 კომლი ცხოვრობდა 36 კაცი გაიწვიეს, საიდანაც 19 საკუთარ კერას ვეღარ დაუბრუნდა. ეს კი საშინელი ტრაგედია იყო მთელი სოფლისათვის. ყველანი საკუთარი შვილებივით დასტიროდნენ შინმოუსვლელ გმირებს.

გამოხდა ხანი და, მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის წნეხისა სოფელი კვალავაც წელში გაიმართა. მესხეთიდან გადმოსახლებულ ახალშენელებს ხომ ბუნებით მოსდევდათ საქვეყნოდ ცნობილი კათოლიკური გონიერება, მუყაითი შრომა და საქმისადმი გულმოდგინება. სოფელი, რომელსაც ხონის რაიონში „ფრანგებად" მოიხსენიებდნენ, ყველასათვის სამაგალითო იყო.

ახალშენში, როგორც, საერთოდ, მთელ საბჭოთა კავშირში, ტაბუ ჰქონდა დადებული რწმენასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საკითხს, იხურებოდა ეკლესიები, იკრძალებოდა რელიგიური ლიტერატურა... სახიფათო იყო საკუთარი რწმენის გამომჟღავნება, მაგრამ მორწმუნეები არ ეპუებოდნენ მათ მიმართ განხორციელებულ აღმკვეთ ღონისძიებეს და ჩუმად თუ ცხადად აღასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს – ნათლობას, ჯვრისწერას, აღსარებას, ზიარებას. მართალია, ამ საიდუმლოთა აღსასრულებლად თბილისში მამა ემანუელ ვარდიძესთან ან იმჟამად ბორჯომში დევნილობაში მყოფ კონსტანტინე საფარიშვილთან უწევდათ წასვლა, მაგრამ გზის სიშორეს არ უშინდებოდნენ და სიძნელეებსაც არად დაგიდევდნენ. ძველი სამლოცველოს ადგილზე კი თითქმის ყოველ კვირადღეს და დღესასწაულებზე მლოცველი ქალები იკრიბებოდნენ,

სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალშენელებს არასოდეს დაუკარგავთ საკუთარი მიცვალებულებისადმი ლოცვისა და პატივის მიგების სურვილი და ყოველთვის, მიცვალებულთა მოხსენიების დღეზე, ერთად იკრიბებოდნენ სასაფლაოზე, ლოცულობდნენ და იხსენებდნენ ამა სოფლიდან გარდასულთ. ეს რიტუალი განსაკუთრებულად აღინიშნებოდა უფლის ბრწყინვალე აღდგომის მეორე დღეს – ორშაბათს.

გამოხდა ხანი, დადგა გარდამავალი პერიოდი, მორწმუნე ადამიანს უფრო მეტი თავისუფლება მიეცა. ახალშენში ხანგამოშვებით ჩამოდიოდნენ კათოლიკე მღვდლები და ყურადღებას არ აკლებდნენ სოფელს, მაგრამ მორწმუნეების სურვილი იყო, ჰქონოდათ საკუთარი ეკლესია და ჰყოლოდათ მღვდელი. მათ თხოვნა გააგზავნეს იმჟამად საქართველოში აკრედიტებულ წმიდა საყდრის დესპანთან, მონსინიორ ჟან პოლ გობელთან მღვდლების ჩამოყვანის თაობაზე. მათი ოცნება მალევე ახდა და 1994 წლის 25 დეკემბრიდან, იტალიიდან საქართველოში ჩამოსულ კათოლიკე მღვდლებს – მამა ჯუზეპე პაზოტოსა და მამა გაბრიელე ბრაგანტინის სამწყსოდ მიანდეს ახალშენის მრევლი. მათი დიდი მონდომებისა და დამსახურების წყალობით სამიოდე წელიწადში ეკლესიის ახალი შენობაც აიგო. ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა და პირველი პრეცენდენტი, როდესაც საქართველოში, ორასწლიანი ინტერვალის შემდეგ, პირველი კათოლიკური ეკლესია აიგო. ეკლესია აკურთხეს 1998 წლის ოთხ აპრილს „ქრისტე – სამყაროს მეფის“ სახელზე. კურთხევას 1000-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა. სტუმართა წრე იტალიიდან იწყებოდა და საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოების წარმომადგენლებით მთავრდებოდა. ასევე იყვნენ დასავლეთ საქართველოს გუბერნატორი, მისი აპარატის თანამშრომლები, ხონის რაიონის ხელმძღვანელობა და სტუმრები მეზობელი მართლმადიდებლური სოფლებიდან, რომლებიც ეკლესიის მშენებლობაში ფიზიკურად ეხმარებოდნენ ახალშენელებს.

ახალშენის კათოლიკური ეკლესიის ათი წლისთავის საიუბილეო ღონისძიება 2008 წლის 4 აპრილს დაიწყო და 23 ნოემბერს დასრულდა. იუბილეს პერიოდში სოფლის მკვიდრის, პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მომზადდა და გამოიცა ორი წიგნი, რომელითაგან ერთი – „ახალშენელი მესხების ასწლიანი ისტორია ქვემოიმერეთში“ – ასახავს სოფლის დაარსებისა და მისი შემდგომი გავითარების ისტორიას, მეორეში კი – „სოფელ ახალშენის კათოლიკური ეკლესიის განვლილი გზა“ – ამ სოფლის სულიერი ცხოვრების ამსახველი მომენტებია, დაწყებული სოფლის დაარსების პირველივე წლებიდან დღემდე.

ამ დღისათვის კი საგანგებოდ ემზადებოდა მთელი საკრებულო. რამდენიმე დღით ადრე, რეკოლექციების ჩასატარებლად, სოფელში ჩავიდნენ საერო დიაკვნები დიაკვან პაატა ქომოშვილის ხელმძღვანელობით. ორი დღის განმავლობაში ისინი ესტუმრნენ ყველა ოჯახს, სტუმარ-მასპინძლებს შორის გაიმართა გულთბილი და გულახდილი საუბარი. ეს იყო იუბილესათვის მომზადების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

სიხარულს მწუხარებაც თან ახლავსო უთქვამს ბრძენს, ასე მოხდა ახალშენის შემთხვევაშიც. დღესასწაულამდე ორი დღით ადრე გარდაიცვალა ეკლესიის ერთ-ერთი მშენებელი ოსტატი, ამაგდარი ადამიანი და სოფლისათვის საყვარელი პიროვნება, ბატონი სერგო მაისურაძე, რამაც ჩრდილი მიაყენა სადღესასწაულო სამზადისს. მაგრამ წმ. პავლე გვანუგეშებს: „ვინაიდან, როგორც კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე კაცის მიერ – მკვდრეთით აღდგომა. ვინაიდან, როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლედებიან ქრისტეში“ (1 კორ. 15, 21-22).

დღესასწაული შაბათს, 22 ნოემბერს აღინიშნა, რადგანაც სხვა საკრებულოების მღვდლებს, მონაზვნებსა და საკრებულოს წევრებს საშუალება

ჰქონოდათ ახალშენელთა სიხარულის გაზიარებისა. ზეიმს რაიონის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები და ხონის დეპუტატიც ესწრებოდნენ, ასევე ახალშენიდან სხვადასხვა დროს წასული მისი შვილები და მათი ოჯახის წევრები.

წმიდა წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა. წირვის დასაწყისში შეკრებილ საზოგადოებას სოფლის სახელით მიესალმა მანანა ბურჯანაძე: *„ყოველ ზეიმს აქვს თავისი მიმზიდველობა ერთად შეკრებისა და ერთად მხიარულების გამო. საიუბილეო თარიღი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ერთად ყოფნას. დღეს ახალშენის ეკლესიის გახსნიდან 10 წლისა და სოფლის დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მადლობას მოვახსენებთ წმიდა საყდრის დესპანს, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის და ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორს, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს. ისინი ორივენი გახლდნენ ათი წლის წინ ოთხი აპრილის ინაუგურაციაზე, მღვდლებთან, დიაკვნებთან, ბერ-მონაზვნებთან და სხვადასხვა საკრებულოს წევრებთან, მათ შორის, ახალშენელთა წინაპრების, უდეს წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც დღესაც ჩვენთან ერთად იზიარებენ ამ ზეიმს. ყოველი ეკლესიის ნაგებობა ის ადგილია, სადაც მრევლი იკრიბება. ეკლესია, სამრეკლოს ზართა შემოკვრითაც შეგვახსენებს, რომ ეს ჟამი ღმრთისაა, ეს ჟამი წყალობის ჟამია. ჩვენ ეკლესიაში მოვინათლეთ, ეკლესიაში ვეზიარეთ წმიდა საიდუმლოებებს, ყოველ კვირადღეს ვმონაწილეობთ ლიტურგიაში და ეკლესიის გზით მიგვაცილებენ ამ წუთისოფლიდან სასაფლაომდე. ეკლესია ის გამორჩეული ადგილია, სადაც მორწმუნეებს სწამთ, რომ თავიანთ უფალს ხვდებიან. როგორ არ უნდა დავაფასოთ, როგორ არ უნდა დავიცვათ ესოდენ ძვირფასი სიკეთე? ათი წელი ერთი დიდი სურვილიც არის, რომ ადამიანებმა ეკლესიის ჩრდილში შეძლონ უფრო წმიდად ცხოვრება, უფრო მეტად ისმინონ მისი ხმა, რომელიც ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. აი, ამ შეგნებით ვიწყებთ წმიდა რიტუალებს“.*

„როცა მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე. და შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი“... მაშინ ეტყვის მეფე, თავის მარჯვნივ მდგომთ: „მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი“ (მათ. 25, 31-32, 34). ეს საკითხავი მათეს სახარებიდან თითქოს ახალშენის იუბილესათვის იყო საგანგებოდ შერჩეული. მართლაც სამყაროს მეფის დღეს მორწმუნე ერი შეიკრიბა მეფის სადიდებლად, რათა დაემოწმებინათ საკუთარი რწმენა და აღევლინათ ლოცვები უზენაესისადმი. ქადაგების დასაწყისში ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ დღესასწაული მიულოცა ახალშენელებს, სტუმრებს და განაგრძო: *„... უკანასკნელი სამსჯავრო განსაკუთრებულია, – გვეუბნება წმ. მათე და, რადგანაც, ეს სამსჯავრო განსაკუთრებულია, ეს იქნება სიყვარულზე მიმართული და არა ქონებაზე, ფულზე... ვინ უფრო მეტი დააგროვა; არც სოციალურ მდგომარეობაზე იქნება ორიენტირებული: მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იყავი: ეპისკოპოსი, მღვდელი, ბერ-მონაზონი თუ უბრალო მორწმუნე, რიგითი მოქალაქე თუ პრეზიდენტი... არ ექნება უპირატესობა არც გარეგნულ ნიშნებს თუ გონებრივ შესაძლებლობებს: მნიშვნელობა არა აქვს ლამაზი ხარ თუ შეუხედავი; ჭკვიანი, ნიჭიერი თუ გონებასუსტი და ა. შ. მთავარია, რა გააკეთე, როგორი სიყვარული გქონდა სხვების მიმართ. რასაც ჩვენ ვაკეთებთ ერთმანეთისათვის, ვაკეთებთ ქრისტესთვის, „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25, 40). წელს სოფლის 100 წლისთავის იუბილეა, მაგრამ სოფელი მარტო წლები არ არის, მისთვის მთავარი ქრისტიანული ცხოვრების ნიშნებია. ახალშენისათვის ერთი ლამაზი ნიშანია,*

რომ სოფლის ცენტრში ეს ლამაზი ეკლესია აღმართულა; ქრისტიანული ცხოვრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი რწმენაა. ეს სოფელი ყოველთვის განსაკუთრებული რწმენით გამოირჩეოდა მთელს რეგიონში. კარგია, თუ ეს თქვენი განსაკუთრებული რწმენა და დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ დღესაც გრძელდება. თქვენ ხართ მაგალითი სხვა სოფლებისათვის. დღეს მადლობა მინდა შევწირო ღმერთს, რადგანაც ჩვენი ეკლესია ისეთივე ლამაზია, როგორც იყო 10 წლის წინ, კურთხევის დღეს და შეიძლება ვთქვათ, რომ უფრო ლამაზიც, ის ახალშენელთა სიამაყის საგანი და რწმენის ერთ-ერთი ნიშანია.

ძვირფასო ახალშენელებო და სტუმრებო, ეს ეკლესია საქართველოში უნიკალურია, როგორც „იესო ქრისტე, სამყაროს მეფის“ სახელობისა. ეს ეკლესია ქადაგებაა, ის ქადაგებს ყოველთვის და თუ მის მიმართ ყურადღებიანი არ ვიქნებით, ე. ი. ვერ მოვისმენთ მის ქადაგებას. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა საერო დიაკვნებს, რადგანაც მათ იკისრეს მისია, მისულიყვნენ ამ სოფლის ყველა ოჯახში. ახალშენისათვის ეს მნიშვნელოვანი ნიშანია და იმის ნიშანიცაა, რომ ყოველი ოჯახი მოხმობილია ამ ეკლესიაში.

მადლობა მამა გაბრიელს, ამ ეკლესიის პირველ მოძღვარს და მამა კარლოს, რომელიც წლების განმავლობაში დაუღალავად მწყემსავს თავის „ფარას“. დღევანდელი პირველი საკითხავიც ხომ ამას შეგვაგონებს: „როგორც ეძებს მწყემსი თავის ფარას თავის გაფანტულ ცხვარში ყოფნისას, ისე მოვძებნი ჩემს ცხვარს და ვიხსნი მათ ყველა ადგილიდან, სადაც გაიფანტნენ ღრუბლიან და ნისლიან დღეს“ (ეზეკ. 34, 12).

ძვირფასო ახალშენელებო, მადლობლები უნდა იყოთ ღმრთისა, რადგანაც თქვენს შორის არიან მამა კარლო და მონაზონი ანა მარია, რომლებიც ზრუნავენ, რომ ეს ეკლესია და საკრებულო იყოს კათოლიკე ეკლესიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ასევე დიდი მადლობა ჩამოსულ სტუმრებს.

იმედი მაქვს, რომ სტუმრებიცა და მასპინძლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან საკუთარი რწმენისა“.

წმ. წირვის დასრულების შემდეგ დაიწყო ზეიმის მეორე, ოფიციალური ნაწილი: სოფლის ისტორიის გაცნობა და ქ-ნ ჟუჟუნა ფაიქრიშვილის წიგნების პრეზენტაცია.

საზეიმო ღონისძება გაიხსნა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მისალმებით. შემდეგ მაია ჯანელიძემ შეკრებილთ მოკლედ გააცნო სოფლის ასწლიანი ისტორიის განვლილი გზა. სოფლის უხუცესმა ქალბატონებმა: ჟენია მგალობლიშვილმა და ევგენია ხითარიშვილმა გაიხსენეს საკუთარი ცხოვრების, თანატოლებისა და სოფლის ცხოვრების ამსახველი საყურადღებო და სევდისმომგვრელი ეპიზოდები, რომლებიც მათ მეხსიერებას შემორჩენოდა. ბატონი კოტე ოცხელი, რომელიც ხელმძღვანელობდა ეკლესიის მშენებლობას და რომელიც ზეიმის საპატიო სტუმრებს შორის იმყოფებოდა, გულთბილად მიესალმა ახალშენელებს, გაიხსენა ეკლესიის მშენებლობის პროცესი, ამ დროს მომხდარი სასწაულებრივი მომენტები, უანგარო, მუხლჩაუხრელი შრომა სოფლელებისა. გაიხსენა ეკლესიის არქიტექტორი და ქვითხუროები, რომლებიც დღეს ჩვენს შორის აღარ არიან და იმიერქვეყნიდან დაჰყურებენ საკუთარ ქმნილებას. „იმ ერთი წლის განმავლობაში მეც ახალშენელი ვიყავი, თქვენსავით მიხაროდა და მტკიოდა, თქვენთან შევიძინე მეორე დედა და ძმა. არასოდეს დამავიწყდება თქვენი სტუმართმოყვარეობა და ის სიყვარული, რასაც ჩემდამი ამჟღავნებდით, გმადლობთ ყოველივე ამისათვის. გისურვებთ რწმენაში სიმტკიცეს და უფლის წყალობას“, – ასე დაამთავრა თავისი მილოცვა კ. ოცხელმა.

სტუმრებს შორის იმყოფებოდა ქალბატონი ლენა ყუფარაძე (ახალშენის სკოლის აწ გარდაცვლილი დირექტორის, ახალშენელთათვის გამორჩეული ქალბატონის – ქეთევან ყუფარაძის და). მან დიდი სიყვარულით მიულოცა ახალშენელებს სოფლისა და ეკლესიის დღესასწაული და საინტერესო ეპიზოდები გააცოცხლა სოფლის ცხოვრებიდან.

სოფელს დღესასწაული მიულოცეს რაიონის დეპუტატმა დავით ჭავჭანიძემ, კუხის თემის საკრებულოს თავმჯდომარემ ელგუჯა კაკაბაძემ და ხონის გამგეობის წარმომადგენელმა ზურაბ ჯიბუხაიამ.

უდეს საკრებულოს წარმომადგენელმა მარინა აღლემაშვილმა, უდელების სახელით, გულთბილი და ამაღელვებელი სიტყვებით მიულოცა ახალშენელებს ეს დიდებული იუბილე და უსურვა მათ რწმენის სიმტკიცე, ერთმანეთის შემწყნარებლობა და ქრისტესმიერი სიყვარული.

შემდეგ გაიმართა პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის წიგნების პრეზენტაცია. ქალბატონმა ჟუჟუნამ ფასდაუდებელი საჩუქარი მოუმზადა საიუბილეოდ საკუთარ სოფელს. ეს წიგნები მისი უძილო დამეების, მუხლჩაუხრელი შრომისა და დიდი სიყვარულის ნაყოფია. ჟ. ფეიქრიშვილმა სოფელში მცხოვრები ყველა გვარისათვის გენიალოგიური ხე შეადგინა, გააცოცხლა აქამდე ნავლმიყრილი და თითქმის ყველასათვის მივიწყებული სოფლის წარსული, მოიძია ახალშენის პირველდამაარსებელთა, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა, სოფლის სხვა მცხოვრებთა სურათები, მათი შრომისა და ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, ერთად შეკრიბა და მიუძღვნა საკუთარ სოფელს. წიგნები მარტო წარსულის სურათებს კი არ აცოცხლებს, მაში გადმოცემულია თანამედროვეობის ამსახველი ისტორიაც. წიგნები მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დასტამბული და პირველი დანახვითანავე აღტაცებას იწვევს.

ახლა ჯერი ახალგაზრდებზეა, სოფლის მომავალზე. უპრიანი იქნება ახალ მათ განაგრძონ სოფლის უახლესი ისტორიის აღნუსხვა და თავადვე შექმნან საკუთარი ისტორია.

ქალბატონმა ჟუჟუნამ თავად წარუდგინა საზოგადოებას საკუთარი წიგნები. შემდეგ წიგნების რეცენზენტებმა მაია ფეიქრიშვილმა და ციცინო ხითარიშვილმა მოკლედ ისაუბრეს წიგნების შესახებ და საკუთარი მოსაზრებებიც გამოთქვეს.

ზეიმის მესამე განყოფილება კი ახალშენელთა განთქმული სტუმართმოყვარეობისა და დიასახლისების კულინარიული ხელოვნების დაგემოვნების პრეზენტაცია იყო.

P.S. ამიერკავკასიაში წმიდა საყდრის დესპანმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ ვერ შეძლო თავად მისალმებოდა ახალშენის საკრებულოს, მიფერებოდა მათ და საკუთარი სიყვარული გამოეხატა პირადი საუბრებითა და გულითადი მოკითხვებით. მაგრამ მეუფეს არ დავიწყებია ახალშენელები და გადაწყვიტა „საბას“ მეშვეობით მიელოცა მათთვის ეს დიდებული იუბილე (იხ. ქვემოთ).

ციცინო ხითარიშვილი

+ კლავდიო გუჯეროტი
ქ. რაველოს ტიტულარული
მთავარეპისკოპოსი,
წმიდა საყდრის დესპანი
საქართველოში

თბილისი, 23 ნოემბერი, 2008 წ.

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ძვირფასო მამა კარლო, უსამღვდელოესო მღვდლებო, ბერებო და მონაზვნებო, ძვირფასო ახალშენელო მორწმუნენო,

დიდად მოხარული ვიქნებოდი თქვენთან ყოფნისა დღევანდელ ზეიმზე, რომელიც ეძღვნება თქვენი ეკლესიის კურთხევის ათი წლისთავს. ამას წინათ გადატანილი ქირურგიული ოპერაციის გამო, ჯერ კიდევ ვერ ვახერხებ (იმედია მცირე ხნით) ავტომანქანით გრძელ მანძილზე მგზავრობას. ამიტომაც, იძულებული ვარ ამ სტრიქონებითა და, განსაკუთერებით, ლოცვებით დავკმაყოფილდე, რომლებიც ყველას, ყოველგვარ ფიზიკურ ერთობაზე მეტად გვაერთიანებენ უფალში, რათა დაგიდასტუროთ ჩემი თქვენთან ყოფნა და გადმოგცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

მღელვარებით ვიგონებ იმ ბედნიერ დღეს, როცა წმინდა მამამ გამომაგზავნა თქვენთან ეკლესიის გახსნის ცერემონიალზე. მახსოვს ის ბოლო მგზავრობა დიდებული ეტლით, მორთულ-მოკაზმულ სამოსში გამოწყობილი ხალხის თანხლებით, მახსოვს ის ცეკვა-თამაში და მხიარულობა. განსაკუთრებით კი თქვენთან ერთად ჩატარებული ზიარება მაგონდება, რომლის დროსაც წავიკითხეთ მისი უწმიდესობა რომის პაპის, მარად დაუვიწყარი იოანე პავლე მეორის მიერ ქართულ ენაზე გამოგზავნილი ავტოგრაფული მიმართვა.

ჩვენ ერთად ვიხილეთ ჩვენი კათოლიკური ეკლესიის აღორძინება, ძალისა და სულიერი სიმხნევის მოკრება და, სირთულეების მიუხედავად, დღეს, განსაკუთრებით კი სამოციქულო ადმინისტრატორის მიერ მოწვეული სინოდის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად ვგრძობთ ჩვენს თავს ღმერთის ოჯახად, მათ თანმიმდევრულ მემკვიდრედ, ვინც კომუნისტური რეჟიმის ზეობისას ეგზომ იტანჯა იესო ქრისტეს ერთგულებისათვის.

რომის პაპ ბენედიქტე XVI-ის სახელით, რომელიც უერთდება თქვენს სიხარულს, ვუსურვებ თქვენს თემს რწმენის სიმტკიცეს, იმედს იმისა, რომ ყოველ ტანჯვას მოსდევს სიხარული მკვდრეთით აღმდგარი ქრისტესი, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარს თავისი შვილები და არასოდეს მიატოვებს მათ.

გთხოვთ ყველას გადასცეთ სალამი და ამბორი პაპისა. იგი ყველა თქვენგანისათვის გამოთქვამს თავის სამოციქულო ლოცვა-კურხევას, რომელსაც მისი ყოვლადუსამღვდელოესობა სამოციქულო ადმინისტრატორი გაგინაწილებთ ლიტურგიის დასასრულს.

კურთხეულ იყოს სახელი უფლისა! დაე მარად ისმოდეს იგი ჩვენი ცხოვრებითა და ჩვენს ბაგეთაგან მის წმინდა ტაძარში!

უდეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დღესასწაული

23 ნოემბერს აღინიშნა უდეს წმიდა გიორგის სახელზე ნაკურთხი სამლოცველოს დღესასწაული. სამლოცველო მოილოცეს მესხეთის კათოლიკური საკრებულოების მრევლის წევრებმა, მღვდლებმა და მონაზვნებმა. დღესასწაულს ესწრებოდა წმიდა საყდრის დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის წარმომადგენელი, მონსინიორი როლანდას მაკრიცკასი, რომელმაც მთავარეპისკოპოსის მილოცვის წერილი წაიკითხა (იხ. ქვემოთ).
წმიდა გიორგის მფარველობას მივანდობთ უდეს საკრებულოს წევრებს, ვუსურვებთ რწმენაში სიმტკიცეს, ერთმანეთის სიყვარულს და გამძლეობას ყოველგვარი დაბრკოლების წინაშე.

+ კლაუდიო გუჯეროტი

ქ. რაველოს ტიტულარული მთავარეპისკოპოსი,

წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში

თბილისი, 23 ნოემბერი, 2008 წ.

უსამღვდელოესო მონსინიორ პრელატო, ძვირფასო მღვდლებო, განსაკუთრებით კი იესო ქრისტეს ახალო პრესვიტერო – უძვირფასესო მამა მიშა, ბერებო და მონაზვნებო, ძვირფასო ძმებო და დებო,

სიხარულით მივიღე მონსინიორ იეჟის მოწვევა, რათა თქვენთან ერთად დავსწრებოდი წმინდა გიორგის დღესასწაულს. მაგრამ, სრულად გამოჯანმრთელებამდე, ექიმმა ამიკრძალა ავტომანქანით გრძელ მანძილზე მგზავრობა. თავს იმით ვინუგეშებ, რომ თქვენს წინაშე ღირსეულად წარმომადგენს ჩვენი ძვირფასი მონსინიორი როლანდას მაკრიცკასი, რომელიც ჩემთან ერთად ყოველდღიურად ინაწილებს საქართველოში წმიდა მამის, რომის პაპისადმი გაწეულ სამსახურებრივ მოვალეობას.

წმინდა გიორგი ნიშანია ღმერთის ძლიერებისა, რომელიც თრგუნავს ბოროტებას, განსაკუთრებით კი ჩვენს შიგნით არსებულს, რომელსაც ყოველდღიურად ვებრძვით, რათა უფლის ერთგულნი დავრჩეთ; შემდეგ კი გარეშე ბოროტებასაც, გარს რომ გვარტყია: ეგოიზმს, სიყვარულის ნაკლებობას ოჯახში თუ მის გარეთ, ქრისტიანთა სავალალო ურთიერთდაპირისპირებას, შურსა და ეჭვს, სიცოცხლის, განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ მოუვლენელი სიცოცხლისადმი უპატივცემულობას.

საქართველოს ომისშემდგომი გაჭირვების ხანა უდგას. მას არა მხოლოდ განცდილ-გადატანილი სტკივა, არამედ, თითქოს იმედიც დაუკარგავს. არადა, ქრისტიანმა იმედი არასდროს უნდა დაკარგოს, რადგან მისი იმედი იესო ქრისტეა, ღმერთი კი არასდროს გაგვიცრუებს იმედს, მისი დამარცხება შეუძლებელია. იგი ისტორიის ცხენზე წმინდა გიორგივით ამხედრებულა და როგორც მარიამის საგალობელი ამბობს: "ტახტიდან ჩამოაგდებს ძლიერთ და აღამაღლებს დაუცველთ", მის მორწმუნეთათვის კი ყოველდღე აღანთებს მზეს რწმენისა და განახლებული ძალისხმევისა.

მუდამ იყავით მოწმენი ამ იმედისა, რათა თქვენმა მნახველმა მყისვე შეიგრძნოს თუ როგორ გასულდგმულებთ იმედი ქრისტესი - ისტორიის უფლისა და ბატონ-პატრონისა.

პაპი ბენედიქტე XVI გიძღვნით თავის სალამს და ფიქრებს, ლოცავს ყველა თქვენგანს, განსაკუთრებით კი ტანჯულსა და ნუგეშის მომლოდინეს. პაპი ყველას გულში გიხუტებთ და ლოცვებში მოგიხსენიებთ. მეც ვუერთებ მის ლოცვას ჩემი სიყვარულისა და ძმობის გრძნობას, რომელსაც დღეს ლოცვით გამოვხატავ, რათა მალე იხილოთ მშვიდობის განთიადი. ღმერთმა დაგლოცოთ ყველანი!

„რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ"

(მათ. 25, 40)

თბილისის წმ. ეჯიდიოს საკრებულომ 1 სექტემბრიდან დაიწყო დახმარების დარიგება დევნილთათვის, რომლებიც განთავსებულნი არიან დედაქალაქის რამოდენიმე სკოლასა და კოლეჯში.

18 სექტემბერს, ხუთშაბათს პირველი 50 საწოლი გადაეცათ ერედვიდან, ნიქოზიდან და გორიდან დევნილებს, რომლებიც ცხოვრობენ თემქ-ის ერთ-ერთ სკოლაში.

ლტოლვილთა დახმარების აზრი მოგვივიდა სხვა და სხვა ოჯახებთან ხანმოკლე შეხვედრების შემდეგ. წმ. ეჯიდიოს საკრებულოს, ამგვარი ინიციატივის დაწყებით, სურს ახლოს დადგეს თითოეულ დევნილთან, განსაკუთრებით კი ბავშვებთან, რომლებიც მტკივნეულად განიცდიან იმას, რაც გადახდათ თავს – საკუთარ ქვეყანაში დაკარგეს ქალაქები, სოფლები, საკუთარი სახლები.

პარასკევს, 19 სექტემბერს, კანდელაკის სახელობის ყოფილ საზღვაო კოლეჯში ერედვიდან დევნილი ბავშვებისათვის მოეწყო დიდი ზეიმი, სადაც 50-მდე ბავშვი დედებთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას, საუცხოოდ გამოწყობილი მასხარა კი მათ გართობაზე ზრუნავდა. ზეიმის დასკვნითი ნაწილი ბავშვებისათვის ძალიან ტკბილი გამოდგა, მათ უზარმაზარი ტორტის დაგემოვნება ელოდა.

ბავშვები, რომელთაც დაკარგეს საკუთარი "სამყარო", გამოგვიტყდენ, რომ მხოლოდ საკუთარ სკოლებში სურთ სწავლა, თავიანთ მეგობრებთან და მასწავლებლებთან. ზოგიერთ ბავშვს, რომელსაც ეზოში ბევრი ხილი ჰქონდა და როდესაც უნდოდა, მაშინ ჭამდა, ვერ გაუგია რატომ არ არის აქ თბილისში ასე.

ზეიმის დასასრულს ერთი ახალგაზრდა ქვრივი ქალბატონი მოვიდა ჩვენს ახალგაზრდებთან გამოსამშვიდობებლად და გვითხრა: "თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რადგანაც ომის შემდეგ ჩემი ბავშვების სახეზე პირველად დავინახე ღიმილი და სიმშვიდე".

ღონისძიების ერთადერთი სირთულე იყო ის, რომ დედებს გაუჭირდათ ბავშვების წაყვანა დასაძინებლად (ზეიმი დამთავრდა გვიან საღამოს). კვირას, 21 სექტემბერს, საკრებულომ ორგანიზება გაუკეთა გასართობ პროგრამას ბავშვებისათვის, რომლებიც განთავსებულნი არიან სხვადასხვა სკოლებში

ამ კოლეჯში და კიდევ სხვა სკოლაში, სადაც ცხოვრობენ ახალგორიდან დევნილები, დავარიგეთ საწოლები, ასევე დარიგდა სამედიცინო დახმარება და სხვა და სხვა პირველადი საჭიროების ნივთები ხანდაზმულთათვის.

საკრებულო დღესაც ეხმარება ბავშვებს ტანსაცმელ-ფესაცმლებით, წიგნებითა და სხვა სასკოლო ინვენტარით.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადაუხადოთ ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ამ საქმეში გაწეული დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის.

თბილისის წმ. ეჯიდიოს საკრებულო

გამოჩენილი ქართველი მამულიშვილები

4 ნოემბერი – სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 350 წელი

სულხან-საბა ორბელიანი

გენიოსები არ ცდებიან!

ქართველმა ხალხმა უტყუარი შეფასება მისცა რჩეულთა შორის გამორჩეულ თავის შვილს:

„სულხან-საბა ორბელის ძე

სიბრძნით აღხდა ორბების ზე“.

პროზაიკოსი, პოეტი, ლექსიკოგრაფი, იშვიათი მჭევრმეტყველი მქადაგებელი, მწიგნობარი, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, დიდი მოჭირნახულე მამულიშვილი, ენციკლოპედიური განათლების პიროვნება სულხან-საბა ორბელიანი 1658 წელს ქვემო ქართლის სოფელ ტანძიაში დაიბადა. მისი მამა – ვახტანგი მეფე ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) ცოლისძმა იყო. სულხანიც მეფის კარზე იზრდებოდა და ძალზე ახლო, თბილი ურთიერთობა ჰქონდა მამიდაშვილებთან – მეფე გიორგი XI-სთან, არჩილთან და ლევანთან. იგი იყო აღმზრდელი და უახლოესი თანამებრძოლი ვახტანგ VI-ისა (1675-1773 წწ.).

ერთი საჟურნალო სტატია ვერ იტვირთავს, რამდენადმე მაინც, შეაფასოს მრავალმხრივი ღვაწლი სულხან-საბა ორბელიანისა. ფასდაუდებელია მისი მხატვრული შემოქმედება, განსაკუთრებით „სიბრძნე სიცრუისა“, ტიტანური შრომისა და ამოუწურავი სიბრძნის ნაყოფია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ანუ სიყვარულით – „სიტყვის კონა“.

ჩვენი მიზანი, ამჯერად, სულხან-საბა ორბელიანის მსოფლმხედველობის, მისი რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაციის წარმოჩენა და ქართველთა დაკნინებული სულიერების ფონზე მისი, როგორც უდიდესი მორალისტისა და ქრისტიანი მოძღვრის, ღვაწლის გათვალსაჩინოებაა.

„...ამის ჟამსა შინა არა იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყუნეს ფუფნეულ და ხორც-მოყვარე, რამეთუ თვით სამღვდელონიც მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთანა, გოდემისამებრ იერემიასი, რამეთუ იყვნეს მოყვარენი ღვინისა და ზნისა და შვებისა და განცხრომისა, უმღერობდნენ ურთიერთას სიძვა-მრუშობასა და მეძავობასა. ამას შინა მოუძლურდა სჯული, განიყურნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძებდნენ სულიერს საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე“, – ამგვარად ახასიათებს მე-17 საუკუნის სინამდვილეს ბერი ეგნატაშვილი.

სპარსელთა მძლავრობისა და ქართველთა გადაგვარების ფონზე XVII საუკუნის მეორე ნახევარში მაინც იგრძნობოდა მებრძოლი, პატრიოტული განწყობილება. ქართველები ზრუნავდნენ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და შერყეული ქრისტიანული იდეოლოგიის აღსადგენად. ამგვარი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი მეფეები: თეიმურაზ I, გიორგი XI, არჩილი, ვახტანგ VI და მათი ერთგული დიდებულები, რომელთა შორის გამოირჩეოდა სულხან-საბა ორბელიანი. იგი იმ ახალ პოლიტიკურ დასს ეკუთვნოდა, რომელიც თეორიულად და პრაქტიკულადაც სპარსული პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდა. 1691 წელს მან ერეკლე I-ის რენეგატული მოღვაწეობის საწინააღმდეგო ამბოხში მიიღო მონაწილეობა. ამის გამო, როგორც გიორგი ლეონიძე წერს: ნაზარალიხანს (ერეკლე I) სასტიკი ღონისძიება მიუღია სულხანის წინააღმდეგ: არ დაუზოგავს სასიკვდილოდ, აუკლია მისი ქონება და მამულების კონფისკაცია მოუხდენია. დევნილი სულხანი ახალციხეში სიმამრთან იმალებოდა.

1698 წლის 18 მარტს სულხანი გარეჯის უდაბნოში საბას სახელით ბერად აღიკვეცა. მან ბრძოლა ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვებისათვის ნათლისმცემლის კათედრიდან განაგრძო. თავის მჭევრმეტყველურ ქადაგებებში და სწავლა-მოძღვრებებში მძაფრად აკრიტიკებდა სპარსოფილი მეფეების პოლიტიკას, სოციალურ უთანასწორობასა და გადაგვარებულ ქართველ ფეოდალთა უზნეობას.

ამ დროს სულხანი იყო არა მარტო ცნობილი მწერალი, არამედ დიდი სახელმწიფო მოღვაწეც. მას ბერობისკენ გზას უხსნიდა ღრმა საეკლესიო განათლება.

საბა ორბელიანი 1698-1710 წლებში გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის კულტურული ცხოვრების სათავეში იდგა.

სულხან-საბას, როგორც მოძღვრის, მოვალეობას შეადგენდა ყრმათა აღზრდა, კრებულის ძმათა განსწავლა ღვთისმეტყველებაში და ქადაგებათა წარმოთქმა. სწორედ ამ დროს დაწერა მან „საქრისტიანო მოძღვრება“ და „სწავლანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ“.

როგორც გიორგი ლეონიძე აღნიშნავს: „საბას „სწავლანი“ – ქადაგებანი და მოძღვრებანი, სადღესასწაულო რიგისაა, ასკეტურ-მორალისტური შინაარსის... ქადაგებანი იმავე დროს შეიცავენ ნაციონალურ-პოლიტიკურ ტენდენციებს... ამ ქადაგებებში საბა გვევლინება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი... იგი შესანიშნავი ძეგლია XVIII საუკუნის ქართული საეკლესიო ორატორული ლიტერატურისა და პირდაპირი გაგრძელებაა, „სიბრძნე სიცრუისასი“, ოღონდ სხვა სამოსელში“.

ივანე ლოლაშვილი შენიშნავს: „სწავლანის“ ქადაგებანი თავისი მჭევრმეტყველებით თამამად გაუტოლდებიან იოანე ოქროპირის, გროგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, ეფრემ ასურისა და სხვა ცნობილ მქადაგებელთა სწავლა-მოძღვრებებს.“

„სწავლანის“ დაწერის თარიღი 1698-1710 წლებია.

დაკვეთით თუ თავისი სურვილით წარმოთქმულ „სწავლანის“ ქადაგებებში საბა ორბელიანი მოურიდებლად აშიშვლებს საერო და საეკლესიო პირთა ზნედაცემულობას, მოღალატურ საქციელს და განურჩევლად კიცხავს ყველას, ვინც პირადი განდიდების მიზნით ღალატობს სამშობლოს, დაუნდობლად ამათრახებს მედროვე ფეოდალებს. იგი განრისხებული მიმართავს მოღალატეებს: „თქვენ წახვალთ მცირედისა ნიჭისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის და ნებსით თავისით დაუტევებთ სჯულსა ქრისტესასა... ვის დაუტევებთ და სად წახვალთ? უგუნურნო, ორგულნო და მოშიშარნო... თქვენ ხართ ჯოჯოხეთის შვილნი, ყოვლითა ცოდვითა აღსავსენი და ურჯულოებით გარდამეტებულნი“...

ადამიანთა ისეთ მძიმე მანკიერებებს, როგორიცაა ამპარტავნება, ვერცხლისმოყვარეობა, მემთვრალეობა, მრისხანება... საბა ცალ-ცალკე ქადაგებებს უთმობს და სათქმელს იმდენად ღრმად, არგუმენტირებულად, ხატოვნად და დამაჯერებლად წარმოგვიდგენს, რომ შეუძლებელია, გულგრილი დატოვოს ვინმე.

საბა თავისი დროის საეკლესიო მოღვაწეებს მოუწოდებდა: „დავდვათ სული ჩვენი ცხოვართათვის ქრისტესსა“ და გადავარჩინოთ ქვეყანა გამაჰმადიანებისაგან, რადგანაც „სამწყსო ესე პირმეტყველი განიბნია მწყემსთა უღვაწელობისათვის!“ საბა მოურიდებლად კიცხავს იმ მღვდელმსახურებს, რომლებიც შეუფერებლად იქცევიან და მოითხოვს მათ გადაყენებას თანამდებობებიდან: „მწყემსნი, რომელნიც ბოროტად მწყსიდეს, მიეღოს მწყემსობა“!

„სწავლანი“ დაწერილია განსაცვიფრებელი მჭევრმეტყველებით, შემოქმედებითი ფანტაზიით და ადამიანის ფსიქიკის საუცხოო ცოდნით. საბა ორბელიანის რელიგიურ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობას მჭიდროდ უკავშირდება თხზულება „საქრისტიანო მოძღვრება“ ანუ „სამოთხის კარი“. ამან გაამძაფრა საბას საეკლესიო დევნა. ავტორს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ „სულით წარწყმედილი“ უწოდა და თხზულებას „ჯოჯოხეთის ბჭე“ შეარქვა. ეს კითხვა-მიგების ჟანრის ნაწარმოებია. მოძღვარი სვამს კითხვას, ყრმა

კი პასუხს მიუგებს. თხზულების დანიშნულებაა, მკითხველს მისცეს წარმოდგენა ქრისტიანულ დოგმებსა და სამღვდელმსახურო წესებზე.

„საქრისტიანო მოძღვრებით“ უდაოდ დასტურდება, რომ საბა კათოლიკე იყო მთელი თავისი შეგნებით, ის მტკიცედ იზიარებდა კათოლიკურ დოგმებს. ეს უბის წიგნაკში შეტანილ საბას სხვა ჩანაწერებითაც დასტურდება. მაგ: „აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ენებოს სწავლებად კეთილისა გზისა ჟამსა სიკვდილისასა“, სადაც ვკითხულობთ: „კვალად უწყი, რამეთუ წმიდა ეკლესია რიმნელთა დედა ჩვენი არს და მოძღვარი ყოველთა ეკლესიათა. ამას ჭეშმარიტთა აღთქმათ აღვიარებ, რამეთუ პაპი რომისა მართლად იესო ქრისტეს მაგიერი არს და მისი მორჩილი ვარ...
აღვიარებ, რამეთუ წმიდა რიმნელთა ეკლესიისა სარწმუნოება მართალი და ჭეშმარიტი არს და ვისცა არა რწამს, არ ცხონდება. ეს მართალი სარწმუნოება აწ და მარადის შეურყევლად მნებავს დამარხვად გულთა შინა ჩემთა მადლითა და წყალობითა ღმრთისა ჩემისათა და მარადის მნებავს სწავლად მათგან, რომელნიცა შჯულით მეცნიერ არიან. ამინ“.
იმავე უბის წიგნაკში ჩაწერილია ცოდვათა მისატევებელი ლოცვა:
„უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სარწმუნოება ააღორძინე. მართლმადიდებლობა განამრავლენ. წმიდა ეკლესია აღამაღლე, ყოველი საეკლესიო წესი დაამტკიცე, რომის პაპის საწადელი აღასრულე, ქრისტიანი მეფენი მშვიდობით დაიცვენ. მწვალებელნი მოაქციენ, მტერნი ეკლესიისანი აღმოფხვრენ და ჩვენ სიყვარულსა შენსა ზედა განგვაძლიერენ და მოგვიტევენ ცოდვანი ჩვენნი“.

საბა ორბელიანის უბის წიგნაკმა დიდ მწერალთან ერთად შემოიარა საფრანგეთი და იტალია, ის საიდუმლოდ იყო შენახული მოსკოვსა და პეტერბურგში და ბოლოს, თბილისის მუზეუმის და შემდგომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში ჰპოვა ბინა.

საბა ორბელიანის გაკათოლიკების შესახებ რომაულ წყაროებში ოთხი სხვადასხვა ცნობაა შემონახული. პირველი, და, როგორც მიიჩნევენ, ყველაზე სარწმუნო ცნობა, ეკუთვნის პატრ ჯუსტინო ლივორნელს. 1687 წლის 7 ნოემბერს ის წერდა: „გაკათოლიკდა ბატონი სულხან, შვილი დიდი მინისტრისა, ბიძაშვილი მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი... ამან მიიღო კათოლიკობა 15 აგვისტოს, 1687 წელსა?!“
გ. ლეონიძე წერს: „საბამ აღიარა რომის ეკლესიის ორიენტაცია 1692 წელს. ეს ცნობა მით უფრო სანდოა, რომ იგი, როგორც ჩანს, საბას მიერ უნდა იყოს გადაცემული... შესაძლოა 1687 წელს სულხანმა გამოთქვა მხოლოდ სიმპათია კათოლიციზმისადმი...“

რამდენადაც ყველა სხვა ცნობა მეხსიერებით აღდგენილი ინფორმაციაა, როგორც ივ. ლოლაშვილი აღნიშნავს, პატრი ჯუსტინოს ცნობა ყველაზე სანდოა. ეს უკანასკნელი მოხსენებით ბარათში აგრეთვე აღნიშნავს: „1688 წელს, 7 დეკემბერს კათოლიკური სარწმუნოების აღსარება წარმოსთქვა აგრეთვე საბა ორბელიანის აღმზრდელმა გიორგი XI-მ, იმავე წლის 19 დეკემბერს კი – ვახტანგის მამამ, ლევანმა და არქიეპისკოპოსმა ექვთიმე რატიშვილმა“...
1710 წლიდან საბა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის ემზადება. მან ვახტანგ მეფისაგან საიდუმლო დიპლომატიური დავალებები მიიღო. დასავლეთ ევროპაში გამგზავრებამდე მისი რელიგიური ორიენტაციის შესახებ ძალზე ცოტამ იცოდა: ოჯახის წევრებმა, სამეფო დიდებულთა ვიწრო წრემ და რომის მისიონმა.

ქართლის საპატრიარქო ეკლესიისაგან დევნის შიშით საფრანგეთში გამგზავრებისათვის მზადებაც ფარულად მიმდინარეობდა.

მ. თამარაშვილის ცნობით, „ქორონიკონს 1713-ს, აგვისტოს 17-ს (საბა) საფრანგეთს გაიპარა: ფრანცია, სიცილია, ჟენევა, რომი ნახა. ფრანციის მეფე,

რომ-პაპი, გრანდუკა უცხოდ კარგად დახვდნენ. რაც ამ ქვეყანაში კარგი უცხო და ძვირად სანახავი იყო, ყველა აჩვენეს. წმიდა პაპამ წმიდის ძელის ჭეშმარიტი ნაჭერი, წმიდის კლემენტის მოწამის თავი და სხვანი მრავალნი ნაწილნი უბოძა... 17 სექტემბერს ფლორენციაში მონთუგის მონასტრის მონაზონთა წინაშე კათოლიკეთა აღსარება წარმოთქვა და წირვაზედ ეზიარა დიდის სასოებით“.

კონსტანტინოპოლში ყოფნის დროსვე საბამ უბის წიგნაკში ჩაწერა თხზულება „წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა“ და ცნობები 12 საეკლესიო კრების შესახებ; უფრო ადრე, რომში ყოფნის დროს კი – „ცოლქმართ ნათესავნი“. ამ პერიოდში მან „თვენში“ შეასწორა რომაული საეკლესიო კალენდრის მიხედვით კათოლიკე მოწამეთა ხსენების დღეები. 1716 წლის 16 ივნისს ხანგრძლივი პილიგრიმობის შემდეგ ლუდოვიკო XIV-ისა და რომის პაპის კარგი დაპირებებით დაიმედებული საბა დიდი ვაივაგლახით დაბრუნდა სამშობლოში.

საბას გაკათოლიკებამ საქართველოს სამღვდელოება განარისხა. მათ გადაიბირეს მეფე ბაქარი და საბას წინააღმდეგ კრება მოაწყვეს, მაგრამ ის მტკიცედ იცავდა თავის კათოლოკობას, რის გამოც „უმძიმესი დევნულობა განიცადა“. საბა თავის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ წერს: „სამღვდელო პირებმა მცხეთას კრება მიყვეს და წმიდა პაპის გინება მომიდვეს. მე მართლმადიდებლობა (იგულისხმება მართლმადიდებელი, ანუ კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოება. – მ. ა.) ვერ უარვყავ და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა...“

ივ. ლოლაშვილი შენიშნავს: „ერთი რამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ევროპიდან დაბრუნების შემდეგ საბა კათოლიკურ სარწმუნოებაზედ მტკიცედ იდგა და ოდნავადაც არა ფიქრობდა მამაპაპეულ აღმსარებლობას დაბრუნებოდა“.

ამგვარი დასკვნის მიუხედავად, თავის წიგნში „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“ (რომელსაც ბევრწილად ვეყრდნობი) ივ. ლოლაშვილი თითქოსდა ცდილობს, საბას გაკათოლიკება ოდენ მისი პოლიტიკური – დასავლეთ ევროპული ორიენტაციით ახსნას, თუმცა გაცილებით უფრო დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ასაბუთებს მის მყარ კათოლიკობას. ეს, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრიობა, ადვილი ასახსნელია. გამოკვლევა საბჭოთა სინამდვილეში იწერებოდა და წიგნი ვერ იხილავდა დღის სინათლეს, თუ მასში გენიალური ქართველი მამულიშვილი ბოლომდე შეგნებულ კათოლიკედ და ევროპული ორიენტაციის პრინციპულ დამცველად იქნებოდა გამოყვანილი. ამიტომ ავტორმა საბას გაკათოლიკებას პოლიტიკური სარჩული მოუძებნა და, რაკი საფრანგეთმა ვერ გაამართლა საბას იმედები საქართველოს მფარველობისა და დახმარების საკითხში, შესაძლოა კათოლიკობაზეც გული აიცრუა და სიკვდილის წინ მართლმადიდებლობას დაუბრუნდაო. ცხადია, ისეთი რანგის მეცნიერმა, როგორც ლოლაშვილია, კარგად იცოდა, რომ საფრანგეთის მეფეზე და მისი დაპირებების აუსრულებლობაზე საბა გაწბილებული ვერ დარჩებოდა, რადგანაც იგი ევროპიდან საქართველოში დაბრუნებული არც იყო, როცა ლუდოვიკო XIV გარდაიცვალა (1715), საფრანგეთს კი თავადაც მძიმე პოლიტიკური ვითარება შეექმნა. ასე რომ, საბას „იმედგაცრუებაზე“ ვარაუდი, და აქედან გამომდინარე – კათოლიკობის მიმართ ნიჰილიზმზე, ოდენ სატყუარი იყო ცენზურის თვალის ასახვევად და მეტი არაფერი.

სულხან-საბა ორბელიანმა, უკვე ხანდაზმულმა, მართლაც რომ უდიდესი მისია იტვირთა, ქართველებს გზა გაუკაფა დასავლეთ ევროპისაკენ. ამ კურსის გამარჯვებისათვის ქართველებს შემდეგშიც რომ ეზრუნათ და მიზნისათვის მიეღწიათ, ძნელი წარმოსადგენი არაა, დღეს როგორი ცხოვრება გვექნებოდა, მაგრამ საქართველოს მესვეურებმა უფრო იოლი გზა აირჩიეს, ერთმორწმუნეობის მოტივით, ჩრდილოელი მეზობლის განუსაზღვრელ მადას

დანებდნენ და რაც ყველაზე დამამცირებელი და პარადოქსულია, წლობით იდგნენ რუსეთის იმპერატორის სასახლის კართან მისი უდიდებულესობისაგან მცირეოდენი ყურადღების მოლოდინში და ზოგჯერ სიკვდილს უფრო ადრე მიეახლებოდნენ ხოლმე. „ერთმორწმუნე“ მეზობელმა კი ჩვენსკენ მხოლოდ მაშინ მოიხედა, როცა თავად დასჭირდა, და მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოეცხადებინა, ეკლესიის ავტოკეფალიაც გაეუქმებინა და სულით ხორცამდე დავემდაბლებინეთ.

როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, სულხან-საბა ორბელიანი რაიმე პრაქტიკული მიზნით სჯულის ღალატს ჯოჯოხეთურ დანაშაულად მიიჩნევდა. ამას მაშინ აცხადებდა, როცა უკვე ფარული კათოლიკე იყო. ცხადია, თავად რწმენას არასოდეს უღალატებდა, უბრალოდ, კათოლიკე ქრისტიანად ჩამოყალიბდა და, ამავე დროს, არც მართლმადიდებლობასთან გაუწყვეტია კავშირი. როგორც „ბასილის ორდენის“ წევრს, საეკლესიო რიტუალების აღსრულება აღმოსავლურ-ბიზანტიური წესით შეეძლო. ამ მხრივ მან სწორედაც რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი წინაპრების გზას უერთგულა, თუნდაც დიდი მთაწმინდელი მამებისას. აღმოსავლური ქრისტიანობის თვით ყველაზე ავტორიტეტული და ფუძემდებელი მამები, იოანე ოქროპირი და მაქსიმე აღმსარებელი, აღიარებდნენ რომის კათედრის პირველობასა და რომის პაპის პრიმატს და მისაღებად მიიჩნევდნენ ფილიოკვეს, ანუ სულიწმიდის გამოსვლას მამისაგან და ძისაგან.

დღეს მაინც დავანებოთ თავი საბას „წვალებას“, მის თვითნებურ გადაყვან-გადმოყვანას ერთი კონფესიიდან მეორეში, და, როგორც ქართველებმა, ვიამაყოთ მისი ფენომენალური ნიჭითა და გრანდიოზული პიროვნებით ისევე, როგორც თანაბრად საამაყოა მართლმადიდებლობაც და კათოლიკობაც, მთავარია, ჩვენს ქრისტიანობას მარტო სიტყვით კი არა, საქმით ვაცხადებდეთ.

გენიოსები არასოდეს ცდებიან!

რუსეთს კი, სხვათა დაპყრობის, დამორჩილების ავადმყოფური სურვილით შეპყრობილს, ყველაზე კარგად იარაღის ჟღარუნი და ძალის დემონსტრირება ეხერხება, კიდევ – სიცრუე, თავხედური და ზღვარდაუდები!

მანანა ანდრიაძე

სიმონ ხეჩინაშვილი
96 წელი სიმონ ხეჩინაშვილის დაბადებიდან

გამოჩენილი ქართველი ოტორინოლარინგოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი ქუთაისში, კათოლიკურ ოჯახში დაიბადა 1912 წლის 26 ნოემბერს.

1941 წელს სიმონ ხეჩინაშვილმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, 1942-1946 წლებში მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიურ კლინიკაში, 1947-54 წლებში კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში ივანე ბერიტაშვილთან. ასევე, წლების განმავლობაში სიმონ ხეჩინაშვილი მუშაობდა სხვადასხვა საავადმყოფოებსა თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში, კერძოდ: ქ. თბილისის ტუბ-დისპანსერის ორდინატორად; ქ. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკის ასისტენტად; შემდეგ კი იყო ამავე ინსტიუტის დოცენტი და ოტორინოლარინგოლოგიური კათედრის გამგის მოადგილე; 1979 წლიდან კი აირჩიეს ამავე ინსტიტუტის რექტორად.

თავისი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის განმავლობაში ბატონ სიმონს შესრულებული აქვს 180 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან ოთხი მონოგრაფიაა.

ნაყოფიერი სამეცნიერო და სამედიცინო მოღვაწეობისათვის სიმონ ხეჩინაშვილს მრავალი ჯილდო ჰქონდა მინიჭებული: 1964 წ. – ლენინური პრემია, 1966 წ. – ლენინის ორდენი, 1971 წ. – წითელი დროშის ორდენი, 1969 წ. – საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის მედალი, 1979 წ. – ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

სიმონ ხეჩინაშვილი იყო გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის წევრი. ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, უნგრეთის რესპუბლიკების ოტორინოლარინგოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი; ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ს. ხეჩინაშვილი არჩეული იყო სსრ კავშირის მე-7 და მე-8 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

გამოჩენილ ქართველ კათოლიკეს, მეცნიერს, ექიმს არასოდეს დაივიწყებს ქუთაისი და ქუთათურები.

სპეც. კორესპონდენტი

ქრისტიანული ოჯახი

საერთაშორისო კონგრესი:

„Humaneae vitae: ენციკლიკის აქტუალური და პროფეტიკული მნიშვნელობა“

რომში, ა.წ. 3-4 ოქტომბერს *უწმიდესი გულის კათოლიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო დარბაზში* (*Audirotium Università Cattolica Sacro cuore*) გაიხსნა საერთაშორისო კონგრესი: „**Humanae Vitae: ენციკლიკის აქტუალური და პროფეტიკული მნიშვნელობა**“, რომელიც მიეძღვნა პავლე VI-ის ენციკლიკის Humanae Vitae-ს (1968) მე-40 საიუბილეო წლისთავს. კონგრესის ორგანიზატორები გახლდნენ ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული პავლე VI-ის საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტის ფერტილურობისა და ინფერტილურობის ფაკულტეტი, იტალიის ფერტილურობის ბუნებრივი რეგულირების ცენტრთა კონფედერაცია, იოანე პავლე II-ის სახელობის ინსტიტუტი და ევროპის ოჯახისა და აღზრდის ინსტიტუტი, ასევე მრავალი სასულიერო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია. კონგრესმა დაახლოებით ხუთასამდე დელეგატს უმასპინძლა, მათ შორის საქართველოდანაც, თავად ამ წერილის ავტორი, INER-ცენტრის ექსპერტი ქ. ბათუმში ნანა მღებრიშვილი და ექსპერტი თამუნა გოტიაშვილი.

ორდღიანი პროგრამა საინტერესოდ და ინტენსიურად წარიმართა. მასში ჩართულნი იყვნენ სასულიერო პირები მაღალი იერარქიიდან: კარდინალები ენიო ანტონელი, კარლო კაფარა და სხვ. შეხვედრები სამ სესიად გაიმართა:

I სესია „ენციკლიკის უწყების აქტუალურობა“ – ისეთ აქტუალურ თემებს მოიცავდა, როგორიცაა: „ოჯახი და შვილოსნობა დღეს: ფსიქოსოციალური ასპექტები და კულტურული გამოწვევები“; „სექსუალური რევოლუცია: ანალიზი და ისტორიული რევიზიონიზმი“; „Humanae Vitae-დან Deus Caritas Est-მდე: თეოლოგიური აზროვნების განვითარება ადამიანურ სიყვარულზე“.

II სესია: „როგორ შეასხეს ხორცი Humanae Vitae-ს ენციკლიკის ადრესატებმა“ (ადრესატებში იგულისხმება მეცნიერების, ჯანდაცვისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები): „მეცნიერება და სამედიცინო პრაქტიკა შვილოსნობის საკითხის წინაშე“; „ბუნებრივი მეთოდების მეცნიერული და კლინიკური მნიშვნელობა: ფერტილურობის ბუნებრივი რეგულირება – მომავალი თაობის ჯანმრთელობის დამცველი“; „იტალიის ფერტილურობის ბუნებრივი რეგულირების ცენრტთა კონფედერაცია და ბუნებრივი მეთოდების ეროვნული და ევროპული სკოლები“; „სოციალურ-ეკონომიური კეთილდღეობა: დემოგრაფიული დინამიკა და გადაწყვეტილებები სიცოცხლის, ფერტილურობისა და ოჯახის საკითხებზე“; „Humanae Vitae: მწყემსთა დამხმარე ენციკლიკა“;

„ბუნებრივი მეთოდის „პედაგოგიკა“, მეთოდის მომხმარებელი წყვილის ცოცხალი მაგალითი“;

დაბოლოს, III სესია, რომელიც მიზნად ისახავდა სამომავლო სამოქმედო სტრატეგიას. დისკუსია მრგვალი მაგიდის ირგვლივ გაჩაღდა იტალიისა და ევროპის საოჯახო და აღმზრდელობითი ინსტიტუტების საქმიანობაზე. მასში მონაწილეობდნენ იტალიის კონფედერაციის წევრი ცენტრების, სიცოცხლის მოძრაობის, ხსვადასხვა უნივერსიტეტებისა და მას-მედიის წარმომადგენლები. კონფერენციის გახსნის პატივი წილად ხვდა ბოლონიის ეპარქიის ეპისკოპოსს, კარდინალ კარლო კაფარას, რომელმაც თავის მოხსენებაში განსაკუთრებულად აღნიშნა: „დღევანდელი დრამატული სიტუაცია, ახალგაზრდების აღზრდა, ჭეშმარიტებაზე დასმული კითხვა ამ ენციკლიკის აქტუალური და საკვანძო საკითხია [...] საუბარი მის აქტუალურ და პროფეტიკულ თვისებაზე სრულებით არ გახლავთ რეტორიკა, რადგანაც თანამედროვე ადამიანი თავისი ჰუმანურობით საშიშროების წინაშე დგას [...] მაინც რა აყენებს პიროვნების *humanitas*-ს საშიშროების წინაშე? ჩემი პასუხი ასეთია: თავისუფლებიდან სწორედ იმ ფესვების ამოძირკვა, რომელიც ადამიანის შესახებ ჭეშმარიტებას გვაუწყებს. ეს პასუხი ამგვარადაც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ეს არის უარყოფა იმისა, რომ პიროვნების ბუნება ჩვენივე თავისუფალი არჩევანის შეფასების კრიტერიუმია [...]. ეს ენციკლიკა დღეს „ქალაქის ვიწრო ქუჩებში“ იმყოფება. საკითხი „პიროვნების ბუნებაზე“ სხვადასხვა კუთხით შეიძლება განვიხილოთ, მათ შორის არის სქესობრივი კონცეფცია [...] მისი რაციონალურობა, მისი ლოგოსი, იმაში მდგომარეობს, რომ სექსუალობა პიროვნების ენაა, და, ამდენად, თავისთავად გამორიცხულია ბიოლოგიურისა და რაციონალურის გათიშვა. ბიოლოგიურის და რაციონალურის ერთიანობა განსაზღვრავს ადამიანის სექსუალურ ბუნებას, ხოლო ამ ერთიანობის დამცველი სექსუალურობის ეთოსს (*ethos*) განსაზღვრავს. გათიშვის ის ტექნიკური შესაძლებლობა, რასაც ფერტილურობის საკითხში ვხედავთ, და რაც ქიმიური კონტრაცეფციით იქნა მიღწეული, აშკარად განჭვრიტა პავლე VI-მ და იგი სექსუალობის ლოგოს-ეთოსის რადიკალურ უარყოფად შეაფასა, კერძოდ, ადამიანსა და ტექნიკას შორის ურთიერთობაში მიმდინარე „ეპოქალური ძვრად“. ამაშია ამ დოკუმენტის მარადუცვლელი პროფეტიკული ღირსება“ [...]. ბიოლოგიის გათიშვა რაციონალურიდან სისრულეში მოიყვანეს. და ეს უკვე ფაქტია. პავლე VI-მ ასევე განჭვრიტა, რომ ეს ტრასფორმაცია იმის საშიშროებას ქმნიდა, რომ humanum – როგორც ასეთი, – მთლიანად ტექნოლოგიისა და იმ ძალების ამარად რჩებოდა, რომლებიც არად აგდებდნენ რაიმე საზღვრებს [...] დღეს ჩვენ ვკითხულობთ: რა პირობებშია დღეს Humanae vitae (ადამიანის სიცოცხლე)? მე ასე ვუპასუხებდი: უმძიმესი აქტუალურობის...

ყოვლად გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია აღმზრდელობითი მუშაობა: ჩვენ უნდა დავეხმაროთ ახალგაზრდა თაობას, რათა ისინი თავად დაადგნენ ჭეშმარიტების გზას. ანუ **იყვნენ ჭეშმარიტად თავისუფლები და თავისუფლად ჭეშმარიტები**“.

კარდ. კაფარას მოხსენებამ ერთგვარი ფონი შექმნა შემდგომი საუბრების წარსამართავად.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ დღევანდელი კულტურა, სამწუხაროდ, თავის უარყოფით კვალს ტოვებს მორწმუნე ადამიანზეც: ხდება პიროვნების დანაწევრება, სიცოცხლიდან, ცოლქმრული ურთიერთობიდან და ოჯახიდან სიყვარულის ამოგლეჯა. ეს ყველაფერი მიუთითებს ისეთი აღმზრდელობითი საქმიანობის გადაუდებელ აუცილებლობაზე, რაც ადამიანებს ყოველმხრივ შეაცნობს სექსუალობის, სიყვარულის, შვილოსნობის ჭეშმარიტ არსს. ბუნებრივი მეთოდების სწავლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ფასეულობათა შეცნობაში, იგი ცხოვრების ისეთ სტილს სთავაზობს წყვილს,

რაც ახალი სიცოცხლისა და ჭეშმარიტად ქრისტიანული სიყვარულის მისაღებად უხსნის გულს ადამიანებს.

მაღალ შემოქმედს, ბუნებასა და ცოლ-ქმარს შორის თანამშრომლობა პატივს მიაგებს ღვთიურ ჩანაფიქრს და უფრთხილდება ბუნებრივ კანონს მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ.

ჩვენი ეკლესია საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საოჯახო ინსტიტუტს, რომელზეც ზრუნავს და ახალისებს საოჯახო პასტორალური კომისია, „ინერ საქართველოს“ ცენტრი, რომელიც ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდის ექსპერტებს ამზადებს. პაპის ენციკლიკა Humanae Vitae, რომელიც ჯერ კიდევ 40 წლის წინათ უჩვენებდა ადამიანებს სიცოცხლის გადაცემის სწორ გზას, მართლაც წინასწარმეტყველურ და აქტუალურ თვისებას იძენს დღევანდელობაში.

ლალი ჩარკვიანი

ინტერვიუ

ბოსე - მონასტერი, სადაც ხორცს ისხამს ქრისტიანთა ერთიანობის სული

გთავაზობთ ინტერვიუს დეკანოზ კახაბერ კურტანიძესთან.

დეკანოზი კახაბერ კურტანიძე სხვადასხვა დროს სწავლობდა ამერიკის (ბოსტონის წმიდა ჯვრის მართლმადიდებლური თეოლოგიური სასწავლებელი), შვეიცარიის (მსოფლიო ეკლესიების საბჭოს ეკუმენური ინსტიტუტი), საბერძნეთის (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი) თეოლოგიურ უნივერსიტეტებში. მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი სისტემურ თეოლოგიაში - დოგმატიკასა და ეკუმენურ თეოლოგიაში. ამჟამად არის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზი და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ინტერვიუს უძღვებოდა ნუგზარ ბარდაველიძე.

მამა კახაბერ, როგორც ცნობილია, თქვენ ოფიციალური მიწვევით ბრძანდებოდით ბოსეში. გთხოვთ მოკლედ გააცნოთ ჩვენს მკითხველს რას წარმოადგენს მონასტერი ბოსე და თქვენი ვიზიტის მიზანზეც რომ ვისაუბროთ.

მონასტერი მდებარეობს მილანის მახლობლად, მთიან რაიონში, ამ მთებს შორის გაშლილ ველზე. ასეთი ადგილმდებარეობა, ერთი მხრივ, ქმნის მონასტრული ცხოვრებისათვის საჭირო სიმყუდროვეს და, მეორე მხრივ, იძლევა საკმაო სივრცეს ასევე აუცილებელი სამეურნეო საქმიანობისათვის. წინა საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს სწორედ ამ ადგილას ენცო ბიანკიმ, მონასტრის ახლანდელმა იღუმენმა, დაიწყო განმარტოებით მოღვაწეობა. პარადოქსულად შეიძლება ჩანდეს, მაგრამ ასეთი არჩევანი მ. ენცოს შთააგონა ვატიკანის II კრების გადაწყვეტილებებმა. მაგრამ ეს არა პარადოქსი, არამედ, პირიქით, მიზეზ-შედეგობრივი მოვლენაც კი იყო. საქმე იმაშია, მსოფლიოსადმი გახსნილობა გულისხმობს, რომ ვატიკანის II კრება კარს უღებდა დიალოგს სხვა ქრისტიანულ (და არა მხოლოდ ქრისტიანულ) დენომინაციებთან. და ეს დიალოგი თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ სიტყვიერ მსჯელობებს არამედ პრაქტიკულ თანამოღვაწეობასაც. სწორედ ამან დააინტერესა და შთააგონა მ. ენცო.

მან ჯერ იმოგზაურა ათონის მთაზე და უშუალოდ და პრაქტიკულად გაეცნო მართმადიდებლურ სამონასტრო ტრადიციას. იგი ასევე, დაინტერესდა

პროტენსტანტური სულიერებითაც და მხოლოდ ამის შემდეგ განმარტოვდა. მალე მის გარშემო შეიკრიბნენ ორივე სქესის მისი თანამოაზრეები. ერთ-ერთი პირველი თანამოღვაწეთაგანი იყო არა კათოლიკე, არამედ პროტესტანტი. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა მონასტერი და ამჟამად იქ მოღვაწეობს სხვადასხვა დენომინაციის დაახლოებით 70 ქალი და მამაკაცი. მონასტერს აქვს რამდენიმე მეტოქიონიც იტალიის სხვადასხვა ადგილას.

მონასტერს აქვს საკმაოდ თავისებური და დახვეწილი ღმრთისმსახურების სტილი. ისინი მსახურებისას იყენებენ ძირითადად საკუთარ ნაწარმოებებს, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებულია მთლიანად ქრისტიანული ღვთისმსახურების ტრადიცია.

მონასტერში განვითარებულია სხვადასხვა სახის საქმიანობა: ხატწერა (მათ შორის აღმოსავლურ ქრისტიანული), მთარგმნელობა, გამომცემლობა, თეოლოგიური კვლევები, ავეჯის წარმოება, საბოსტნო მეურნეობა და სხვა. მნიშვნელოვანია მონასტრის მოღვაწეობა ეკუმენური მიმართულებით. იგი წელიწადში რამდენიმეჯერ აწყობს სიმპოზიუმებს და კონფერენციებს სხვადასხვა თემებზე და სხვადასხვა მიმართულებებით: ლიტურგიული იტერნაციონალური, პროტესტანტული სულიერებისადმი, მართმადიდებლური სულიერებისადმი, ზოგადად სულიერებისადმი მიძღვნილი კონფერენციები. არც ერთი სახის კონფერენცია არ არის შეზღუდული და მასში მონაწილეობას ღებულობს ნებისმიერი ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელი, რადგან კონფერენციების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის სწორედ ქრისტიანების ურთიერთდაახლოება, გამოცდილებების ურთიერთგაზიარება და ასევე, სამეცნიერო თეოლოგიური აზრის განვითარებისათვის ხელისშეწყობა.

თქვენ ახსენეთ, რომ წლევანდელი შეხვედრა არ იყო ისეთი მასშტაბური და საინტერესო, რით ახსნით ამ ფაქტს. რა, აქტუალობა ხომ არ დაკარგა ბოსეს შეხვედრებმა?

წელს 18-21 სექტემბერს გაიმართა რიგით XVI მართმადიდებლური კონფერენცია თემაზე *სულიერი მოძღვრობა*. ზოგადად ესეთი კონფერენციები იმართება მსოფლიოს და რუსეთის საპატრიარქოების ეგიდით, ყოველწლიურად სექტემბრის თვეში. თავდაპირველად ის იმართებოდა ორ ნაწილად – ბერძნული და რუსული ტრადიციების შესაბამისად. წელს ორივე ნაწილი გაერთიანდა. ამან გამოიწვია ძალიან გადატვირთული გრაფიკი, რამაც, თავის მხრივ, შეზღუდა მონაწილეთა შორის პირადი საუბრების და, ამდენად, დაახლოების საშუალება. ასევე, მოხსენებები არ იყო იმდენად საინტერესო, როგორც წინა წლებში. წინა წლებში მომხსენებელთა შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი თეოლოგები, როგორიცაა ქრისტოს იანარასი, იოანე ზიზიულასი, კალისტოს უეარი, ანდრეი ლაუთი, სერგეი ხორუჟი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აქტუალობა დაკარგა ბოსეს კონფერენციებმა. პირიქით, როდესაც დამყარდა ბოსეს საშუალებით უამრავი კავშირები სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა შორის და როდესაც გულწრფელბა გახდა შესაძლებელი, სწორედ ახლა იძენს მეტ აქტუალობას ესეთი შეხვედრები.

რამდენადაც ცნობილია, ბოსეს კონფერენციები თემატურია და პერიოდულად სხვადასხვა ცნობილ რელიგიურ მოღვაწეებს ეძღვნება.

წლევანდელი კონფერენცია მიძღვნილი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიტის ემილიანე ტიმიადისის (1916-2008) ხსოვნისადმი. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მართმადიდებელი, მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა ბოსეს მონასტერში, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ ამ მონასტერში ისხამდა ხორცს ქრისტიანების ერთიანობის სული და,

ამავე დროს, იგივე მონასტერი იყო და არის საუკეთესო მოწმობა მსოფლიოსადმი ქრისტიანობის ერთიანობის და აქტუალურობისა. იგი ამბობდა: "კათოლიკეების, მართმადიდებლებისა და პროტესტანტებისათვის შესაძლებელია იცხოვრონ ერთად. ეს იყო მთელი ჩემი სიცოცხლის ძიებისა და მოღვაწეობის საგანი. და ბოსეში მე შემიძლია განვაგრძო ცხოვრება ძმურ მეგობრობაში, როგორც იმ ფაქტის გამოვლინება, რომ ჩვენ ყველანი ვართ, ქრისტეს ერთი სხეული. ეს ღრმა ერთობა უკვე მიღწეულია: იგი არის იქ, სადაც ერთად გაიაზრება სიცოცხლე, სადაც ცხოვრობენ ერთად."

მიტროპოლიტი ემილიანე გრძნობდა რა თავის გარდაცვალების მოახლოებას ამბობდა: "სიკვდილი ჩვენ გვეკუთვნის და მნიშვნელოვანია მისთვის მომზადება. ის იქნება სრული გამოცხადება იმისა, რაც ჩვენ განვიცადეთ და უფრო მეტად კი იქნება ჩვენი სიცოცხლის აღვსება, ღმეთს სურს, რომ მარად იყოს თავის საყვარელ ქმნილებასთან ".

და კიდევ, რა თემები განიხილებოდა წლევანდელ კონფერენციაზე?

თემა, რომელიც წლევანდელ კონფერენციაზე იყო, ასევე შერჩეული იყო მსოფლიოსთან მიმართებაში. კონფერენციის სულისკვეთება შეიძლება გამოიხატოს ასე: *სულიერი მოძღვრობა* ნიშნავს ღმერთის სამეფოსაკენ სულის ტარებას. მოძღვარი არის ის, ვინც ცხოვრობს მოწაფესთან ერთად ამ უკანასკნელის სიცოცხლით და თავის მოღვაწეობის არს ხედავს იმაში, რომ მოწაფემ მიაღწიოს მიზანს. ეკლესიის მისია ამასოფელში არის სწორედ ამგვარი მოძღვრობა: კი არ გაემიჯნოს სოფელს არამედ თავი დასდოს მისთვე, კი არ დასცქერპოდეს ზემოდან ქვემოთ ცოდვილ სამყაროს, არამედ გავიდეს ამ სამყაროში, რათა ამ სამყარომ იცოცხლოს ახალი სიცოცხლით.

ახლახანს საკმაოდ მრავალრიცხოვანი საპასუხო დელეგაციაც გახლდათ ბოსედან ჩამოსული საქართველოში და მათი ვიზიტის შესახებაც ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდ სიტყვას?

როგორც ვთქვით, მონასტერი ბოსე არ შემოიფარგლება მხოლოდ კონფერენციებით. იგი ცდილობს დაახლოვოს ქრისტიანები ერთმანეთთან და მისცეს მათ საშუალება გაეცნონ და ეზიარონ ერთმანეთის ტრადიციებს. მაგალითად წელს ბოსეს მონასტერის მეგობრების დიდი ჯგუფი მოგზაურობდა სომხეთში, რათა გაცნობოდა იქაურ სულიერ ტრადიციას და ზოგადად კულტურას. ეს ჯგუფი საქართველოშიც შეჩერდა: მოინახულა მცხეთის ჯვარი და გარეჯი. მათი სურვილი იყო შეხვედროდნენ კათოლიკოს-პატრიარქს, მაგრამ ეს შეხვედრა ვერ შედგა. წასვლისას გამოთქვეს სურვილი კვლავ ჩამოსულიყვნენ კავკასიაში და ამჯერად კონკრეტულად საქართველოში, რადგან მონასტერი ბოსე ძალიან დაინტერესებულია საქართველოს სულიერი ტრადიციით. მათ იტალიურად ათარგმნინეს და გამოსცეს *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*. ასევე რამდენიმეჯერ მიიწვიეს საქართველოდან სასულიერო პირებიც. კონფერენციებზე ყოველთვის ესწრებიან ქართველები, საქართველოდან თუ არა საზღვარგარეთ მოღვაწეები მაინც. და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტი, რომ ასეთი კონფერეციების ჩატარების იდეის მიმწოდებელი მ. ემცოსათვის იყო სწორედ ბოლონიაში მოღვაწე, რუსული ფილოლოგიის პროფესორი, ბოსეს გულშემატკივარი და მეგობარი ნინო ყაუხჩიშვილი. იგი ყოველ კონფერენციაში ღებულობს მონაწილეობას როგორც აღმატებულად საპატივცემულო სტუმარი. წელს მან წაიკითხა მოხსენება ქართველი მონაზონის მარიამ მარჯანიშვილის († 1936) მოღვაწეობის შესახებ. კონფერენციის განმავლობაში მან რამდენჯერმე აიღო სიტყვა და ტკივილით ისაუბრა რუსეთის აგვისტოს ინტერვენციაზე საქართველოში. მისმა

პატრიოტულმა და ემოციურმა, თუმცა ამავე დროს გააზრებულმა და მსუბუქი იუმორით შეჯერებულმა მსჯელობებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს თვით რუსი ეროვნების კონფერენციის მონაწილეებზეც. ერთ-ერთმა მათგანმა, სანკტ-პეტერბურგელმა მოძღვარმა საჯაროდ რუსეთის სახელით პატიება ითხოვა ქართველებისაგან.

და მაინც რა პერსპექტივებს უქმნის ქართულ ეკლესიას ბოსეს მოძრაობასთან თანამშრომლობა?

მომავალი წლის სექტემბერში კვლავ გაიმართება კონფერენცია თემაზე: *სულიერი ბრძოლა.* და მ. ენცომ გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა მიიწვიოს საქართველოდან სასულიერო პირები. მან ასევე მრავალჯერ გამოთქვა სურვილი კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრისა და საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავებისა, რაც მოცემულ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო მასშტაბებითაც და ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისითაც.

გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

აქტუალური თემა

16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

„მთავარში – ერთობა,
საკამათოში – თავისუფლება,
ყველაფერში – სიყვარული”
ნეტარი ავგუსტინე

ისე მოექეცი სხვას, როგორადაც თავად შენ გინდა რომ მოგექცენ, – ეს გახლავთ ადამიანთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უძველესი პრინციპი, რომელიც „ოქროს წესის” სახელწოდებითაა ცნობილი და ეს პრინციპი ყოველი რელიგიის უმთავრეს ნორმადაა აღიარებული. და თუმცა „ოქროს წესი” მრავალი საუკუნის წინ იქნა აღიარებული, მაინც კაცობრიობა არასაკმარისად ტოლერანტულია, ანუ მარტივად თუ ვიტყვით, ადამიანები ერთანეთის მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილი და მომთმენები არიან, ნაკლებად არიან გამსჭვალულნი ურთიერთპატივისცემით. ამგვარი დეფიციტი მრავალი უბედურების მიზეზია. თითქოს ადვილია – იცხოვრო და სხვასაც მისცე ამის საშუალება, მაგრამ ეს რატომღაც არ ხერხდება.

ტოლერანტობა ანუ შემწყნარებლობა სოციალურ-პოლიტიკური აზრის ხანგძლივი განვითარების ნაყოფია. ტოლერანტობა იმ საზოგადოებაშია შესაძლებელი, სადაც სოციალური და პოლიტიკური განვითარების შედეგად უსამართლობისა და სიღატაკის შემზარავი ფორმები უკვე აღარ არსებობს. მაგრამ არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც: საზოგადოებრივ ცნობიერებაში ტოლერანტობის დაუმკვიდრებლად ძნელია ცივილიზირებული საზოგადოების შექმნა.

ნამდვილი ტოლერანტობა არ უკავშირდება რამენაირ უპრინციპობას, ჭეშმარიტების მიმართ გულგრილობას. საკუთრ თავს ადამიანი შეიძლება არატოლერანტული მაქსიმალიზმით ეპყრობოდეს, მაგრამ სხვასთან მიმართებაში იგი შემწყნარებელი უნდა იყოს, რადგან საყოველთაოდ აღიარებული ტოლერანტობის ნორმის გარეშე, შეუძლებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

ტოლერანტობის ცნებაში სამი კომპონენტი შეიძლება გამოიყოს, ანუ შეწყნარებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი თუ: **ადამიანს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მოვლენის მიმართ: მას შეუძლია ამ მოვლენის უარყოფა, მაგრამ იგი თავს იკავებს ამ მოვლენის უარყოფისაგან**. როდესაც უარყოფით დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება როგორც ემოციები, ასევე მსჯელობაზე დაფუძნებული დასკვნები. ტოლერანტობაში პიროვნების, პიროვნებათა ჯგუფების მათი საქციელის შეწყნარება იგულისხმება.

საყოველთაო და სავალდებულო ნორმების დაცვის კონტროლს სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს, რომელიც მონოპოლიას ფლობს კანონის დადგენილ ნორმებში ძალის გამოყენებაზე. ამიტომ სამართლებრივი სახელმწიფო მოვალეა დაიცვას ტოლერანტობის ატმოსფერო და ასევე ისიც, რომ ტოლერანტობამ არ გამოიწვიოს სრული ნებადართულობა, არეულობა და ანარქია.

კანონებს არ უნდა ჰქონდეს ტოლერანტული ხასიათი, მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფოს კანონმდებლობა არ უნდა ახდენდეს ადამიანური ურთიერთობების მთელი სპექტრის რეგლამენტირებას, პატივს უნდა სცემდეს რელიგიას, აზრის თავისუფლებას და ადამიანის სხვა უფლებებს. ლიბერალური დემოკრატია ის პოლიტიკური რეჟიმია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ტოლერანტობის ატმოსფეროს. ლიბერალიზმი არის ადამიანის პიროვნული თავისუფლების და ღირსების პატივისცემის პოლიტიკური კულტურა. ლიბერალიზმი დემოკრატიას ტოტალიტარულ რეჟიმად გადაქცევის საფრთხისგან იცავს.

ტოლერანტულ ქცევას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. როდესაც დღეს შემწყნარებლობასა და შეწყნარებაზე საუბრობენ, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ სხვა ადამიანისა თუ ადამიანების ავტონომიის პატივისცემა როგორც ასეთი ქცევის მოტივაცია. ტოლერანტობა თნამედროვე საზოგადოებაში ლიბერალური ფილოსოფიის მონაპოვარია, რომლის მთავარი პრინციპიცაა ადამიანის თავისუფლება.

სამ მონოთეისტურ რელიგიას: იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს ერთი საწყისი აქვს. ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ძველ აღთქმას, რომელიც ადამიანის ღმრთაებრივ დანიშნულებაზე სწავლებას შეიცავს. ეს სამი რელიგია აღიარებს ერთ ღმერთს, როგორც ყოველი ადამიანის მამას, როგორც ღმერთს სიკეთისა, სიყვარულისა სამართლიანობისა. დღეს მრავალი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ამ რელიგიებს განსაკუთრებული მისია აკისრიათ: მათ შეუძლიათ მთელ მსოფლიოს ეთიკური ღირებულებების ერთიანობა, ზოგადსაკაცობრიო ეთიკა შესთავზონ.

არსებობს ქცევის საყოველთაო ნორმები, რომლებსაც ეს რელიგიები აღიარებენ (არ კლა, არ იპარო, არ დასწამო ცილი, სხვისი ქონება არ მიითვისო), ამ ნორმების დარღვევის მიმართ არ ვრცელდება ტოლერანტობა. შემთხვევითი არაა, რომ მრავალი მცნება რაიმე ქმედების აკრძალვის უარყოფის ხასიათს ატარებს. მართლაც შეუძლებელია დაავალდებულო ადამიანებს სიყვარული, მეგრამ შეიძლება მოითხოვო, რომ დაუშვებელი იყოს სიძულვილის პრაქტიკული გამოხატვა.

ტოლერანტობის აუცილებლობას ბოლო ათწლეულებში, მთელი ცივილიზირებული სამყარო საკმაოდ მწვავედ განიცდის და ცდილობს საზოგადოების ფართო მასების ყურადღება მიაპყროს ამ პრობლემას. სწორედ ამიტომაც დაარსდა ტოლერანტობის საერთაშორისო დღე, რომელიც 16 ნოემბერს აღინიშნება და უკანასკნელ წლებში საქართველოშიც ეწევა ამ თარიღს პოპულარიზაცია, თუმცა მხოლოდ თარიღების აღნიშვნა პრობლემეთა გადაწყვეტას ხელს არ უწყობს. ამისათვის ხელისუფალთა და საზოგადოების

სურვილი უნდა არსებობდეს, მხოლოდ გრანტების მოპოვებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტიობა შედეგს ვერ მოიტანს.

დასკვნის მაგივრად

LEARN-ის ქართულ ფორუმზე (საგანმანათლებლო მოძიების ქსელი), რომელშიც საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგები იღებენ მონაწილეობას, ორიოდე თვის წინ დადებულ დისკუსიას ტოლარანტობის შესახებ გამოხმაურება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, ქართველი მასწავლებლები დიდად შესაშური აქტიოურობით არიან ჩაბმული დისკუსიებში „ხაჭაპურისა" და „საცივის" შესახებ, მსჯელობენ, რა სჯობს „ძაღლი თუ კატა", „პედაგოგის თუ მეეზოვის პროფესია", არკვევენ „მათემატიკის როლს ქართული ეკლესიის მშენებლობაში"... საინტერესოა, მსგავსი ინტერესებით დატვირთულ პედაგოგები რამდენად გამოიჩენენ მზაობას მოსწავლეებში შემწყნარებლობის, განსაკუთრებით კი, რელიგიურ სფეროში, დანარგვას.

ნუგზარ ბარდაველიძე

ინფორმაცია

„საბას" კორესპოდენტების შეხვედრა თბილისში

8 ნოემბერს თბილისში გაიმართა ჟურნალ „საბას" სარედაქციო საბჭოსა და კორესპოდენტების მორიგი სამუშაო შეხვედრა-სემინარი. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ჟურნალისტი, პროფესორი დავით პაიჭაძე და ჟურნალ „სოლიდარობის" რედაქტორი ნინო ცინცაძე.

შეხვედრა გახსნა სარედაქციო საბჭოს კოორდინატორმა მ. გაბრიელე ბრაგანტინიმ, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა 2008 წლის განვლილი შემოქმედებითი საქმიანობა, ის პრობლემები, რომლებმაც იჩინა თავი საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად.

შემდგომ რეგიონალურმა კორესპონდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი ანგარიში. ესენი იყვნენ: თენგიზ პარმაქსიზიშვილი (ბათუმი), ლალი ჩარკვიანი (ქუთაისი), მარინა აღლემაშვილი (უდე), შორენა მექოშვილი (ხიზაბავრა), ქეთევან გოგოლაშვილი (უნწა), ნადია ჩიტაშვილი (თბილისი), ნაზი კვარჩიამ („კარიტასი"). მათ მოკლედ, მაგრამ ამომწურავად ისაუბრეს იმ პრობლემებსა თუ წარმატებებზე, რასაც აწყდებიან კონკრეტულად თავიანთ საკრებულოებსა თუ, ზოგადად, რეგიონში. შემდგომ განხილულ იქნა 2008 წლის „საბას" ნომრები, გამორჩეული რუბრიკები და წერილები. თვალსაჩინოებისათვის პარალელები იქნა გავლებულ „საბას" თემატურად მონათესავე ჟურნალთან „საპატრიარქოს უწყებანი". კორესპონდენტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და სურვილები თუ როგორ, რა ფორმით შეიძლება, რომ სამომავლოდ მოხდეს „საბას" თემატიკის გამრავალფეროვნება, რათა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს ჟურნალი ყველა ასაკის და სოციალური ფენის მკითხველისათვის. ყველა, როგორც სარედაქციო საბჭოს წევრები, ასევე რეგიონალური კორესპოდენტები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია „საბაში" პერიოდულად დაეთმოს გვერდი მოზარდებს და რომ საბავშვო გვერდი ისევ თავად ბავშვებმა, ცხადია უფროსების დახმარებით, უნდა მოამზადონ. ესე უფრო უშუალო და საინტერესო გამოვა ეს რუბრიკა.

კორესპოდენტთა გამოსვლის შემდგომ მ. გაბრიელემ სინანულით აღნიშნა, რომ მიუხედავად სარედაქციო საბჭოს მცდელობისა, არსებობს ბარიერი ჩვენსა და მკითხველს შორის, რომ ჯეროვნად არ გაშუქებულა ის საქმიანობა, რასაც აწარმოებს „საქართველოს კარიტასი" დღიდან საომარი მოქმედებების დაწყებისა ლტოლვილთა დახმარების კუთხით. რომ ინფორმაციები არის მოსაწყენი და ერთფეროვანი, არ ჩანს დაინტერესება ახალგაზრდობის მხრიდან.

დავით პაიჭაძემ გაანალიზა „საბას” მიმდინარე წლის ნომრები, პროფესიული რჩევები მისცა კორეპოდენტებს – „თქვენ, ისევე, როგორც ნებისმიერი ქართული პრესის კორესპონდენტი, ერთნაირად წერთ, ანუ ყურადღებას უთმობთ, თუ ვინ რა თქვა, ვინ დაესწრო და ა.შ არ აღწერთ თავად ამბავს, ადამიანურ განცდებს. ჟურნალისტი უნდა იყოს მსაჯული, აქტიურობა შეიტანოს თხრობაში, უნდა ჩანდეს ადამიანი. როგორ შეიძლება გამოჩნდეს ადამიანი? მრევლის წევრი? მე შემოგთავაზებთ ასეთ თემას, დაარქვით თუნდაც „კათოლიკის დღიური”; აირჩიეთ ნებისმიერი ადამიანი საკრებულოში, მიეცით მას დიქტოფონი და უთხარით ერთი კვირის განმავლობაში აწარმოოს დღიური, აღწეროს ნებისმიერი თავსგადამხდარი ამბავი, განცდები, ფიქრები... ენდეთ ამ ადამიანს თავად განსაზღვროს თხრობის შინაარსი. არ დააძალოთ თემატიკა. ეს არ იქნება „გაყვითლება”, ჩვენ არ ვთხოვთ კურიოზებს. გამოაჩინეთ უბრალო ადამიანი, არაფერი შეალამაზოთ. თქვენ თავად დარწმუნდებით, რომ არავითარი განსხვავება არ არის ე.წ. საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებსა და უბრალო ადამიანს შორის”.

ნინო ცინცაძემ სემინარში მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა ფინანსურ საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ ძნელია მოსთხოვო მაღალი პროფესიონალიზმი, როდესაც არ აძლევ სათანადო მატერიალურ მხარაჭერას. უნდა გამონახოთ რესურსები მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ქალბატონმა ნინომ სემინარში მონაწილეებს სამახსოვროდ გადასცა ჟურნალ „სოლიდარობის” ნომრები. შემდგომ მან გაანალიზა ის საქმიანობა, რასაც ეწევა ტოლერანტობის ცენტრი და „სოლიდარობა” მარგინალურ ჯგუფებთან მიმართებაში. „რაც მეტი ურთიერთობა იქნება ეთნო-რელიგიურ უმცირესობებთან, მით ეფრო აქტიურად წამოვლენ ისინი გულღია თანამშრომლობაზე”.

შეკრების ბოლოს მ. გაბრიელემ შეაჯამა სემინარის მუშაობა, მადლობა გადაუხადა მის მონაწილეებს და საერთო აზრის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სამომავლო გეგმები, კერძო კი, მომავალ 2009 წლიდან ჟურნალ „საბას” შემოქმედებითმა გუნდმა ყურადღება უნდა დაუთმოს ინფორმაციების მომზადებას საეკლესიო ცხოვრებაზე, მაგრამ მეტი ყურადღება გაამახვილონ რეალური ადამიანის წარმოჩენაზე, რომ სტატიები არ უნდა იყოს უბრალოდ მოსაწყენი დღიურის სახისა, არამედ უნდა იქნეს ასახული ცოცხალი ადამიანები, მათი ყოფა და პრობლემები, საჭიროა მომზადდეს უფრო მეტი ინფორმაციული სახის მასალები საკრებულოების ცხოვრებისა და პრობლემების შესახებ.

„საბას” კორესპოდენტთა სემინარის კოორდინატორმა ნუგზარ ბარდაველიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „საბას” კორესპოდენტერბი სრულიადაც არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მაგრამ მათ თავიანთი მონდომებითა და სარედაქციო საბჭოს დახმარებით, განვლილი წლის მანძილზე დაიწყეს ჟურნალისტიკის საფუძვლების შესწავლა, რომ დღისათვის უკვე საკმაოდ კარგად ფლობან ნიუსის მოპოვებისა და ტექსტობრივი მომზადების უნარ-ჩვევებს. მომავალი წლიდან ჩვენ უკვე ახალ საფეხურზე გადავდივართ და კორესპოდენტებს ჯურნალისტური რეპორტაჟის მომზადების სპეციფიკა უნდა გავაცნოთ. მომავალ წლის პირველი შეხვედრა-სემინარზე უკვე ლექციებს ჩავატარებთ ამ თემაზე. ბატონმა დავით პაიჭაძემ (იგი წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტერტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი იყო) გამოთქვა მზადყოფნა, რომ იგი დაესწრება ამ სემინარს და პროფესიულ დახმარებას გაუწევს „საბას” კორესპოდენტებს ჟურნალისტური რეპორტაჟის ათვისების პროცესში.

„საბას” სარედაქციო საბჭოს კოორდინატორის გადაწყვეტილებით 2009 წლის სემინარი მოეწყობა ივნისის თვეში. სემინარის კოორდინატორს დაევალა, უზრუნველყოს ზაფხულის სემინარის სასწავლო პროცესის ორგანიზება. ხოლო

რეგიონალურმა კორესპოდენტებმა „საბას" იანვრის ნომრისათვის პირველი დავალება – საკრებულოს წევრებთან შეკრიბონ და რედაქციას მოაწოდენ ის აქტუალური კითხვები, რომლებიც აინტერესებთ მრევლის წევრებს, ასევე, მოამზადონ საყმაწვილო გვერდი. პირველობა საყმაწვილო გვერდის მომზადებაში წილად ხვდა ბათუმის საკრებულოს. შემდგომ ესტაფეტა გადაეცემა მესხეთის საკრებულოებს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ახალი წიგნები
სოფელ ახალშენის კათოლიკური ეკლესიის განვლილი გზა

წიგნში აღწერილია საუკუნის წინათ სამხრეთ საქართველოდან ქვემო იმერეთში, ხონის რაიონში, გადმოსახლებული მესხების რელიგიური ცხოვრება. ერთი პატარა სოფლის მაგალითზე წარმოჩენილია კათოლიკური ეკლესიის საინტერესო და მრავალფეროვანი საქმიანობა.
ნაშრომი საგულისხმო მასალას მიაწვდის რელიგიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.
წიგნის რედაქტორია პროფესორი ვლადიმერ წვერავა
რეცენზენტები: პროფესორი მურმან პაპაშვილი
ციცინო ხითარიშვილი

ახალშენელი მესხების ასწლიანი ისტორია ქვემოიმერეთში
წიგნში ასახულია ქვემო იმერეთში, ხონის რაიონში, ახალი სოფლის დამფუძნებელი მესხებისა და მათი შთამომავლების ცხოვრება, გაცოცხლებულია ახალშენის ასწლიანი ისტორია თავისი მრავალფეროვანი და საინტერესო ეპიზოდებით. წარმოდგენილია ეთნიგრაფიული ჩანაწერები, მეტყველების ნიმუშები და ტოპონიმები..
წიგნი საინტერესო იქნება ისტორიკოსების, ლინგვისტების და, საერთოდ, მკითხველისათვის.
წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ენითაა დაწერილი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული.
რედაქტორი პროფესორი მერაბ კეზევაძე – ქუთაისი სახელმწიფო არქივის დირექტორი
რეცენზენტები: პროფესორი ვლადიმერ წვერავა
მაია ფეიქრიშვილი
მანანა ბურჯანაძე

განუსვენე მათ, უფალო!

სერგო მაისურაძე
* 22. 03. 1933 წ. – გორი
† 27. 07. 2008 წ. – გორი

გიორგი მაისურაძე
* 5. 01. 1931 წ. – გორი
† 26. 10. 2008 წ. – გორი

თინა პარუნაშვილი
* 14. 06. 1930 წ. – უდე
† 11. 11. 2008 წ. – უდე

გურამ გიგოლაშვილი
* 3. 01. 1958 წ. – უდე
† 13. 11. 2008 – უდე

თინა გოზალიშვილი
* 1928 წ. – ვალე
† 26. 10. 2008 წ. – ვალე

ლევანი (შალვა) ზაზაშვილი
* 15. 11. 1935 წ. – უდე
† 28. 10. 2008 წ. – უდე

შალვა ბალიაშვილი
* 17. 07. 1959 წ. – ხიზაბავრა (ასპინძა)
† 30. 10. 2008 წ. – ხიზაბავრა (ასპინძა)

დანიელ ქომოშვილი
* 19. 02. 1937 წ. – არალი
† 18. 11. 2008 წ. – არალი

ახალგაზრდული გვერდი

მოწოდებულთა შეხვედრა ახალციხეში

„ღმერთო მომეცი ძალა და მთხოვე, რაც გინდა" (მ. აკაკი ჭელიძე)

19 ნოემბერს, ახალციხეში წმ. ქრისტიანეს (წმ. ნინოს) მოწყალების დების სახლში ჩატარდა მოწოდებულთა სამდღიანი რეკოლექცია. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ მონაზვნები კორინა მოგოლი და ლორედანა მონეტი, ხოლო წინამძღვარი მამა აკაკი ჭელიძე.

მოწოდებულთა შეხვედრაზე 10 გოგონა შევიკრიბეთ, ახალციხის, ახალშენის, და თბილისის ორივე კათოლიკური ეკლესიის – წმ. პეტრე და წმ. პავლე მოქციქულთა და ქალწული მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის საკრებულოებიდან.

ყველა გოგონას ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, რომ ჩვენში მამა აკაკის საშუალებით მოქმედებდა სულიწმიდა, გვიხსნიდა მოწოდების არსს, მის ამოცნობას საკუთარ თავში და რომ ჩვენი ბედნიერებისათვის საჭიროა ამ მოწოდებით ვემსახუროთ ღმერთს, – „ღმერთო მე მინდა მინდოდეს ის, რაც გინდა შენ".

მამა აკაკი შეუპოვრად ცდილობდა ჩვენში გაექრო ის შიში, რომელიც ცხოვრების გზის არჩევანს ახლავს. იგი გვიხსნიდა რომ ჩვენი „მამა" არ გვაძლევს დაეჭვების საბაბს, მთავარია ნდობით მოვაწეროთ ხელი მის მიერ მოწოდებულ ცარიელ ფურცელს, რომელზეც ჩვენს კვალდაკვალ ღმერთი დაწერს ჩვენს ისტორიას. „არ უნდა მეშინოდეს შენი ჩანაფიქრის აღმოჩენის უფალო, რადგან ის არასოდეს იქნება ჩემი საწინააღმდეგო".

მამა აკაკის ყოველი სიტყვა იყო ჩვენდამი ღმრთის სიყვარულის დასტური. რომ ღმერთს ყოველთვის უხარია ჩვენი სიხარული და სტკივა ჩვენი სატკივარი". მ. აკაკის რეკოლექციის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია იყო, რომ „მე ვარ ერთი, მაგრამ არ ვარ მარტო".

დიდი მადლობა წმ. ნინოს მოწყალების დებს: მარნონელს, ჟიზელს და პასკალინას. ჩვენდამი გამოვლენილმა მათმა თბილმა დამოკიდებულებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ: „la charite du Christ nous presse" („ქრისტეს სიყვარული გვაჩქარებს ქველმოქმედებისათვის").

გულითად მადლობას ვუხდით მამა აკაკის და მონაზვნებს ლორედანასა და კორინას ასეთი საინტერესო შეხვედრის ორგანიზებისა და წარმართვისათვის და გვსურს, რომ მსგავსი შეხვედრები კვლავაც გაგრძელდეს.

ბოლოს წერილი გვინდა დავასრულოთ იმ სიტყვებით, რომლითაც მამა აკაკი იწყებდა შეხვედრებს: „უფალო, შენ ხარ აქ, ახლა, ჩვენთვის, მთლიანად“

თამრიკო თელიაშვილი
ამალია ბაღდასარიანი

ქრისტიანული ახალგაზრდული ბანაკები საქართველოში

საქართველოში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს ქრისტიანული ახალგაზრდული ბანაკები (და არა მარტო საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში). ჩვენთან ამ ბანაკებს ორგანიზებას უწევს ევანგელურ-ბაპტისტური საკრებულო ვალერი ბეგლაშვილის ხელმძღვანელობით.

წელს მსგავსი შეხვედრა ზღვისპირა რაიონში, ურეკში ჩატარდა, მასპინძლობას სასტუმრო „კოლხიდა “ გვიწევდა.

16 სხვადასხვა რელიგიური საკრებულოს წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას ურეკში გამართულ შეხვედრაში. იყვნენ სტუმრები უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, სულ 120 ახალგაზრდა. ის ხუთი დღე, რაც ამ ლამაზ ადგილას გავატარეთ საინტერესო და ნაყოფიერი იყო. სამ ჯგუფად დაყოფილი ახალგაზრდები მონაწილეობას ვღებულობდით სემინარებში, ინტელექტუალურ-გასართობ ღონისძიებებში...

ყურადღებით ვაკვირდებოდი იმ ატმოსფეროს, რაც თან ახლდა ამ ღონისძიებას და დავრწმუნდი თუ რაოდენ დიდი სიყვარული და ურთიერთობა შეუძლიათ დაამყარონ ადამიანებმა ერთმანეთთან მიუხედავად კონფესიური სხვაობისა და ეროვნებისა (ალბათ უმცირესობას რომ წარმოვადგენთ...)

საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების სახელით მადლობას ვუხდი ამ პროექტის ხელმძღვანელებს და ორგანიზატორებს. იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავაც შევხვდებით მომავალში.

ღმერთი გვფარავდეს ყველას!

გია ტუმასიანი

ანტონ ხანჩალიანი ჩემპიონია

1 ნოემბერს საჩხერეში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატი აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთ პოპულარუს სახეობაში ტაეკვონ-დოში. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ოზურგეთის გუნდი „პანტერა“. ამ გუნდის ერთ-ერთი გამარჯვებული იყო ოზურგეთის კათოლიკური საკრებულოს წევრი ანტონ ხანჩალიანი, რომელმაც 40-45 კგ. წონით კატეგორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდები ულოცავენ ანტონს ამ წარმატებას და უსურვებენ სპორტის დიდი მწვერვალების დაპყრობას.

საგანგებო ჩანართი

სასწაულები და მაგია

”...იმტომ კი არ მეძებთ მე, რომ სასწაული იხილეთ, არამედ იმის გამო, რომ პური ჭამეთ და გაძეხით. ნუ ირჯებით ხრწნადი საზრდოსათვის, არამედ იმ საზრდოსათვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისთვის...” (იოან. 6, 26-27) - ამბობს იესო პურის განმრავლების შემდეგ.

1. სასწაულები ნიშნებია მოქცევისთვის

ნებისმიერი სასწაული მტკიცებულება კი არა, არამედ ნიშანია. იოანეს სახარებაში გამოყენებულია სიტყვა ”ნიშანი” (ბერძნულად ”semeia”), რომელიც ხშირ შემთხვევაში სხვა ენებზე არასწორედაა თარგმნილი როგორც ”სასწაული.” ყურადღება უნდა გავამახვილოთ იესოს ქმედების არსობრივ მხარესა და მნიშვნელობაზე და არა მხოლოდ მის სასწაულებრივ ასპექტზე: უნდა ”დავინახოთ,” ანუ ჩავწვდეთ მის სიღრმისეულ საზრისს, რათა რწმენაში ვიცხოვროთ. ამ აზრს მკაფიოდ გამოხატავს იოანე მახარებელი: ”ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ მოწაფეების წინაშე, რაც ამ წიგნში არ დაწერილა. ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმრთისა, და, რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით” (იოან. 20, 30-31).

სასწაული გვეძლევა ჩვენი მოქცევისთვის. გაკვირვება საკმარისი როდია. იესოს ”ნიშნებმა” ძირეულად უნდა შეცვალოს და განაახლოს იმ ადამიანის ცხოვრება, ვისაც ”დანახვის” უნარი გააჩნია. იესო არ არის მოგვი ან ჯადოქარი. სასწაულმა უნდა გამოიღოს ნაყოფი ჩვენს ცხოვრებაში. სასწაულის ”დანახვა” და ”მიღება” ნიშნავს მისი მოქმედების საზრისის გაცნობიერებას. ბეთ-ხაზდას აუზთან სნეულის განკურნების შემდეგ იესო აფრთხილებს მას: ”აჰა, შენ გაჯანსაღდი, ნუღარ შესცოდავ, რათა რამე უარესი არ დაგემართოს” (იოან. 5, 14). ხალხმა მრავალი სასწაული იხილა და გაჰყვა იესოს, მაგრამ ღალატიც მოსალოდნელია მათგან. თავად სასწაული, სახარებისეულ ნიადაგს მოწყვეტილი, ვერ გახდება ჩვენი რწმენის საფუძველი - ამისთვის საჭიროა შინაგანი მზაობა. ”ამდენი სასწაული მოახდინა მათ წინაშე და მაინც არ ერწმუნენ მას” (იოან. 12, 37).

2. ცნობისმოყვარეობა, ”სასწაულების” მოლოდინი

იესოს დროს გამძაფრებული იყო სასწაულების მოლოდინი. დღესაც საქართველოში ზოგიერთი ადამიანის მხრიდან გადამეტებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ”ზებუნებრივ” გამოვლინებას. ამგვარი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება სახარებისეულ ხედვას. წმ. პავლე ამბობს: ”... იუდეველები მოითხოვენ სასწაულებს და ბერძნები სიბრძნეს ეძებენ, ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს...” (1 კორ. 1, 22-23).

გამალებული ძიება ”სასწაულებისა” (როდესაც ამ ”სასწაულებს” ყველგან და ყველაფერში ხედავ) - თვითდარწმუნების მცდელობაა, რათა დაფარო, ”შენიღბო,” საკუთარი ურწმუნოება: როდესაც გული ცარიელია, ძიებას შენს გარეთ იწყებ. იესო არასდროს მოქმედებს იმ ადამიანის სურვილისამებრ, ვინც მისგან სასწაულების მოხდენას ითხოვს (ხშირ შემთხვევაში ეს ”სასწაულთმაძიებელი” თვითონაც იგონებს ”სასწაულებს”). ”ჰეროდემ იესო რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა, რადგან დიდი ხნიდან სურდა მისი ხილვა, რაკი გაგონილი ჰქონდა მასზე და იმედი ჰქონდა, რაიმე სასწაულს ნახავდა მისგან” (ლუკ. 23, 8).

იუდეველები იესოსგან ”ნიშნებს” ითხოვდნენ, მაგრამ იესომ იცოდა მათი ზრახვები... იესო არ მოქმედებს ადამიანების სურვილებისა და მოთხოვნების მიხედვით (იხ. ლუკ. 11, 16; იოან. 2, 18; 6, 30). მოითხოვო ”ნიშანი,” ”სასწაული” - ნიშნავს გამოსცადო ღმერთი. უდაბნოში იესოს გამოცდის დროს

”მიუახლოვდა მას მაცდური და უთხრა: ”თუ შენ ღვთის ძე ხარ, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ.”... უთხრა მას: ”თუ ღვთის ძე ხარ, გადაიგდე თავი ძირს, ვინაიდან დაწერილია...” (მათ. 4, 3-6). იუდეველები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ჯვართან სცდიან ქრისტეს: ”ამბობდნენ: ”ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში აღმშენებელო, იხსენი შენი თავი. თუ ღვთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან.” ასევე მღვდელმთავარნი მწიგნობრებთან და უხუცესებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ: ”სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია. თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას. ღმერთს იყო მინდობილი და ახლა იხსნას იგი, თუ ნებავს, ვინაიდან თქვა, ღვთის ძე ვარო” (მათ. 27, 40-43; შდრ. ლუკ. 23, 35-37).

სასწაული სათანადო თავმდაბლობითა და მორჩილებით უნდა მიიღო. დაუშვებელია მოითხოვო სასწაულის მოხდენა, ან გამოიყენო საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, ვინაიდან ძალზე იოლია ილუზიებში გადავარდე - სასწაულის მოხდენა ეშმაკსაც ძალუძს... რწმენისთვის სასწაული, როგორც ასეთი, მიუღებელი როდია. ღმერთი სასწაულებს ახდენს ”როდესაც” და ”სადაც” თავად ინებებს, ”ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი” (ლუკ. 1, 37). უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული საშიშროება - ”სასწაულმა” შესაძლოა რწმენას მოკლებული ადამიანი სახიფათო ცრურწმენამდეც მიიყვანოს. ნაზარეთში ყოფნისას იესომ ”ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული... უკვირდა მათი ურწმუნოება” (მარკ. 6, 5-6). ცრურწმენა იბადება მაშინ, როდესაც ადამიანს ქრისტეს სახარების კი არა, არამედ ცალკე აღებული ”სასწაულის” სწამს. მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენისა და სიყვარულის ”კეთილ ნიადაგზე” (მარკ. 4, 20) დათესილი ღმრთის სიტყვა გამოიღებს თავის ნაყოფს.

3. ცრურწმენა და მაგია

ცრურწმენა დიდი ცოდვაა რწმენის მიმართ. ხშირ შემთხვევაში ადამიანს ღმერთი კი არა სწამს, არამედ ულმობელი ”ბედისწერის” ტყვეობაში იმყოფება. ზოგჯერ კი ადამიანის აღქმაში ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა (შავი კატის გადარბენა და ა.შ.) იძენს დამატებით დატვირთვას და, როგორც წესი, ადამიანის მხრიდან გარკვეულ ქმედებებსაც უკავშირდება (ხეზე სამჯერ დაკაკუნება, სარკეში ჩახედვა და ა.შ.). ცრურწმენას ჭეშმარიტი რწმენის მნიშვნელობა ავტომატური სისტემის დონემდე დაჰყავს. თითქოსდა ამა თუ იმ რიტუალს, ქმედებას ძალუძს ბედნიერება ან უბედურება მოუტანოს ადამიანს. ეს არის მუდმივი შიშისა და მონობის თავისებური გამოხატულება, რიტუალურ ქმედებებთან დაბრუნება, რასაც თავის დროზე ასე ეწინააღმდეგებოდა იესო. იუდეველები ღმრთის რისხვისგან თავდასაცავად სხვადასხვა ფორმალური რიტუალის დონემდე დაყვანილ ქმედებებს მიმართავდნენ: სარიტუალო განბანას, ჭურჭლის წყალში გავლებას განწმედის მიზნით, მარხვას და სხვა (შდრ. მარკ. 7, 1-13). ამგვარი პრაქტიკები რწმენის ადგილს იკავებდნენ. ”...ფარისეველნი და ყველა იუდეველი იცავენ ძველების ჩვეულებას...” (მარკ. 7, 5), ” ღვთის მცნებათა მიმტოვებელნი იცავთ კაცთა გადმოცემას...” (მარკ. 7, 8).

მაგია და მკითხაობის სხვადასხვა ფორმები ცრურწმენაზე უფრო დიდი ცოდვაა. მაგიური ქმედების საშუალებით ადამიანები საკუთარი ეგოისტური მიზნების მისაღწევად ღმერთისა და ავი სულების "გამოყენებას" ცდილობენ (ე.წ. "ჯადო," "შეთქმა" და ა.შ.). ის, ვინც პასუხს იძლევა სპირიტული სეანსისა თუ მაგიური ქმედების დროს - ღმერთი არ რის! ღმერთი არ ემსახურება ჩვენს ამპარტავნებას, ცნობისმოყვარეობასა და ძალაუფლებისკენ ლტოლვას... ესე იგი, პასუხს ეშმაკი იძლევა.

"მოციქულთა საქმეები"-ს წიგნში მოთხრობილია სიმონ მოგვის ამბავი. მაგია, როგორც მცდელობა აიძულო ღმერთი და ზებუნებრივი ძალები გვემსახურონ ჩვენ, ამ თხრობაში მკაცრადაა დაგმობილი. შეიძლება კი ადამიანს ჰქონდეს ძალაუფლება ღმერთზე? სიმონს ეწადა ღმერთზე ხელმწიფება მოეპოვებინა, მან ფულიც კი შესთავაზა მოციქულებს სულიწმიდის ნიჭის შესაძენად (იხ. საქმე. 8)...

მაგიის ნებისმიერი ფორმა მიუღებელია. არ არსებობს კარგი და ცუდი, შავი და თეთრი მაგია. მაგია - უდიდესი ბოროტებაა. ქრისტიანული ლოცვაც კი შეიძლება იქცეს მაგიურ ქმედებად, თუ ადამიანს ჰგონია, რომ ლოცვების დაჟინებული კითხვით საკუთარ მიზანს მიაღწევს და "აიძულებს" ღმერთს სურვილი შეუსრულოს .

პავლე მოციქული ამბობს: "ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმიდურება და თავაშვებულება, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ" (გალ. 5, 19-21). "მოციქულთა საქმეები"-ს წიგნი მოგვითხრობს: "ბევრმა მათგანმა, ვინც ეწეოდა ჯადოსნობას, მოაგროვა წიგნები და დაწვა ყველას თვალწინ" და "ასე იზრდებოდა და მტკიცდებოდა უფლის ძალისამებრ სიტყვა" (საქმე. 19, 19-20). "...ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს" (იოან. 20, 29). ასე მიმართა აღმდგარმა იესომ ურწმუნო თომას. "ნეტარია, ვინც ირწმუნა," - შესძახა ელისაბედმა მარიამთან შეხვედრისას (ლუკ. 1, 45). მარიამს სწამდა... ზედმეტი კითხვები არ გასჩენია: "აჰა, უფლის მხევალი ვარ. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ" (ლუკ. 1, 38). მას ხანდახან არც კი ესმოდა, მაგრამ სწამდა (იხ. ლუკ. 2, 50). "მარიამი ცხოვრობდა სასწაულებისა და ექსტაზების გარეშე,"- წერს წმ. ტერეზა ყრმა იესოსი. სწორედ მარიამის რწმენაა უდიდესი სასწაული, ღმერთის სასწაული. მარიამს არასოდეს გამოუცდია ღმერთი, არაფერი მოუთხოვია... იგი მხოლოდ გვეუბნება: "გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით" (იოან. 2, 5). ჭეშმარიტი სასწაული რწმენით ცხოვრების გარდაქმნაა.